# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 1-2 ივნისი. 2019 წ. №109-110 (8775-8776) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru ფასი 60 თეთრი




## როინ მეტრეველი: დავითგარეჯის ③ სამონასტრო კომპლექსი ოდითგანვე საქართველოსი იყო!

## „ერთმორწმუნე“ რუსეთი ლონდონს მოუწოდებს, ② „თბილისს სოხუმისა და ცხინვალის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭიროს“

## დიასპორული საქმიანობა ④ მსოფლიოს გარშემო საერთო ეროვნული ქართული საქმეა

## შაორის განაშენიანების გეგმა დასრულებულია, ცნობილია პირველი ინვესტორიც 8

## გზა თიანეთიდან ახმეტამდე ხუთჯერ შემოკლდა

## იმღერე, ორბის მართვეო...

**ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეში“ დღეს ბავშვთა მეთორმეტე თაობა მღერის** ⑥



# სალომე ზურაბიშვილი: მშობლიური ენა ჩვენი იდენტობის საყრდენია

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ კონფერენცია „სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში“ გახსნა.**

სალომე ზურაბიშვილმა სახელმწიფო ენის როლზე, მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, აფხაზური ენის შენარჩუნების აუცილებლობასა და ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„სახელმწიფო ენის დაცვა ჩემი კონსტიტუციური ვალდებულებაა. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და, ამავდროულად, დიდი სიამაყეა. ენა სახელმწიფოს მთავარი შემადგენელი ნაწილია. ენის გარეშე ერთიანი სახელმწიფო ვერ იარსებებს. ენა საზოგადოების გამაერთიანებელია.**

**ენის მეორე მთავარი მახასიათებელია, რომ ენა ერის კულტურის მატარებელი. ენის გარეშე კულტურა არ არსებობს. ენების წინაშე დღეს მთავარ გამოწვევას გლობალიზაცია და**




**ტექნოლოგიები ქმნიან.**

**ქართული ენა საზღვარგარეთ სახელმწიფოს დროშაა. ქართული დამწერლობა კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ენის ცნობადობა იზრდება. ჩვენი მიზანია, ქართული კულტურითა და ლიტერატურით, რაც შეიძლება, სწრაფად გავხდეთ ევროპული კულტურული სივრცის ნაწილი“,** — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა დიასპორასთან მიმართებაში ენის შენარჩუნების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ, თუ ქართული დიასპორა ენას დაკარგავს, თავად დიასპორაც დაიკარგება.

**„დიასპორის აქტიური ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში დამოკიდებულია ენაზე. ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი, რომ დიასპორა ჩართული იყოს დისტანციური სწავლების პროგრამებში და გახდეს ხიდი სხვა ქვეყნებთან და საზოგადოებასთან“,** — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

პრეზიდენტმა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა არ დაკარგონ საკუთარი ტრადიციები და მშობლიური ენა, მაგრამ ამავდროულად საჭიროა, ქართული ენა მათთვისაც გახდეს მშობლიური ენა.

პრეზიდენტის განცხადებით, საჭიროა, ეროვნულ უმცირესობებს ჰქონდეთ ყველა საშუალება, შეისწავლონ ენა, ენის სწავლება საბავშვო ბაღებიდან უნდა იწყებოდეს და სკოლებსა და უნივერსიტეტებში გრძელდებოდეს, სახელმწიფო ენის ცოდნა უნდა იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, დღეს მეორე სახელმწიფო ენა — აფხაზური ენა საფრთხის ქვეშაა და ძალიან რთულ მდგომარეობაშია.

**„26 მაისის სიტყვის შემდეგ, აფხაზეთის ე.წ. იქაური მთავრობისაგან იყო რეაქცია, რომ არაფერი მსგავსი არ ხდება და არ მიმდინარეობს რუსიფიკაცია. მათი რეაქცია ცხადყოფს, რამდენად მართალია ეს მძიმე ანალიზი. აფხაზური ენა ასევე ჩვენი დასაცავია“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კონფერენცია „სახელმწიფო ენა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის საქართველოში“ ერთობლივად მომზადდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ.

# მამუკა ბახტაძე: „ქართული ოცნება“ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამ ფუნდამენტურ საკითხს ჩვენი ქვეყნისთვის - ეს იქნება წვდომა უმაღლესი სტანდარტის განათლებაზე, წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე



## პრემიერ-მინისტრის გამოსვლა პარლამენტში, ინტერპელაციის ფორმატში

**ქალბატონო პარლამენტის ვიცე-სპიკერო,**

**პატივცემულო პარლამენტის წევრებო,**

**ქალბატონებო და ბატონებო**

**დღეს უკვე მეორედ ვხვდებით ინტერპელაციის ფორმატში. პირველი, რაც მსურს გითხრათ, ის არის, რომ ჩვენ გადავედით საპარლამენტო დემოკრატიაზე და დიახ, ეს იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდის არჩევანი.**

**მე ისევე, როგორც ჩემი კაბინეტის ყველა წევრი, ამ ფორმატს სცემს ძალიან დიდ პატივს და მზად არის, უპასუხოს ნებისმიერ შეკითხვას. მე ვფიქრობ, ბოლო თვეების განმავლობაში მინისტრების მოსვლა პარლამენტში, მათი რაოდენობა და პასუხები ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია. როდესაც არის მაღალი საჯარო ინტერესის მქონე კითხვები, მთავრობა ვალდებულია, გასცეს ამ კითხვებზე პასუხი. ჩვენ ამას ვაკეთებთ და იმავე სულისკვეთებით გავაგრძელებთ.**

**წინა ინტერპელაციის დროს მე აღვნიშნე, რომ ვისურვებდი მეტ შინაარსობრივ შეკითხვას, ნაკლებად მოტივირებულს სხვადასხვა პოლიტიკური პოპულიზმით და დღესაც მინდა აღვნიშნო, რომ პირველ ინტერპელაციაზე როდესაც ვუპასუხებ, 6 შეკითხვაა რეალურად, რომელიც ერთ შეკითხვაშია დასმული იურიდიულად, ორ სხვადასხვა თემაზე. მე ვეთანხმები ამ შემთხვევაში გამომსვლელებს, მაგრამ შემდეგში შევეცადოთ, იყოს კონკრეტული თემა, რომ შევძლოთ გავშალოთ, გვქონდეს დისკუსია და საზოგადოებას მივაწოდოთ ობიექტური ინფორმაცია.**

**რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს — პირველი სამი შეკითხვა ეხება საპენსიო რეფორმას და აქ პასუხი არის ძალიან ნათელი — ჩვენ გვსურს, შევქმნათ ღირსეული საპენსიო სისტემა ჩვენი მოქალაქეებისთვის და მსოფლიოში არცერთ წარმატებულ ქვეყანას ღირსეული პენსიისთვის არ აქვს მიღწეული საპენსიო ფონდების გარეშე. ეს არის ჭეშმარიტება და ეკონომიკური კანონზომიერება. ასე, რომ აქსიომებზე დავას მე ვფიქრობ, აზრი არ აქვს, ტყუილად დავკარგავთ დროს. უნდა ვისაუბროთ მის შინაარსობრივ ასპექტზე. მსურს, კიდევ ერთხელ გავიმეორო — ყველა ქვეყანამ, ვინც წარმატებას მიაღწია, არის წარმატებული, ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ყველას აქვს დაწყებული მსგავსი რეფორმა. ჩვენ ახალი ველოსიპედი არ გამოგვიგონებია და ეს არის ერთადერთი გზა იმისთვის, რომ მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული პენსია მომავალში.**

**უფრო მეტიც, 15 წლის წინათ ამ კითხვების ავტორებს რომ ჰქონოდათ მსგავსი ხედვა, ან გამბედაობა ამ რეფორმის დაწყების, დღეს პენსია იქნებოდა ორჯერ მეტი და არ იქნებოდა ისეთი მწვავე საკითხები, რომელიც გვაქვს დღეს და ამავე დროს, ვერ იქნებოდა ისეთი პოპულისტური განცხადებები, რომელიც წინასაარჩევნოდ მოვისმინეთ, რომ ვილაცები ორჯერ აპირებდნენ პენსიის გაზრდას ისე, რომ მთელი ბიუჯეტი არ ეყოფოდათ. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, მინდა ავიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ საქართველოში ეს პრობლემა იქნება მოგვარებული..**

* * *

**„შემდეგ შეკითხვას რაც შეეხება, რომელიც ყველასთვის განსაკუთრებით პრინციპულია, განსაკუთრებით ჩემთვის, ეს შეეხება ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 მარტის რეზოლუციის თანახმად, სადაც ოპოზიცია და უმრავლესობა შეთანხმდა, მოხდა ამ რეზოლუციის მიღება და მთავრობას დაევალა თქვენი განკარგულებით, რომ შეედგინა სია იმ არაადამიანებისა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ქართველი მოქალაქეების წინაშე, სასტიკი დანაშაული. აქვე შევთანხმდით ყველა და უნდა ვიხელმძღვანელოთ, რა არის ჩვენი მთავარი მიზანი. ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას ჰქონდეს ძალიან დიდი წონა, რომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს ჰქონდეთ ყველა არგუმენტი იმისა, რომ დაგვეხმარონ და მოხდეს ამ სიის რეალურ ცხოვრებაში დანერგვა. ეს არის ამოსავალი წერტილი.**

**მინდა აქვე გითხრათ, რომ თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ ჩემს გამოსვლას ვერცერთი საერთაშორისო ტრიბუნიდან, ისევე როგორც მთავრობის ნებისმიერი წევრის, რომ ეს საკითხი არ წამოიწიოს. ეს არის ძალიან დიდი ტყუილი და საზოგადოებამ ეს ძალიან კარგად იცის. ახლა რაც შეეხება საერთაშორისო აქტივობებს. აშშ-მა მიიღო საქართველოს მხარდამჭერი აქტი რამდენიმე დღის წინათ, რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ სანქციების დაწესებას. მეორე, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს წევრ ქვეყნებს და ევროკავშირის საბჭოს, შესაბამისი სანქციები დაუწესონ. მესამე, უკვე ჩვენმა მეგობარმა ქვეყანამ ლიეტუვამ დააწესა ეს სანქციები. მეოთხე, ირლანდიის პარლამენტმა მიიღო მსგავსი რეზოლუცია. მეხუთე, კანადის პარლამენტმა მიიღო მსგავსი რეზოლუცია. ეს ყველაფერი ქმნის იმ წინაპირობას, რომ ჩვენ რეალურად შევძლოთ საერთაშორისო პოლიტიკაში ამ სიის იმპლემენტაცია“.**

* * *

**„შემდეგი შეკითხვა — საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით — ეს იყო რეგულაციები ფინანსური სექტორის მისამართით და არა საბანკო რეგულაციები. მოდი, ყველამ კარგად გავიხსენოთ, ჯერ კიდევ ჩემი ინიციატივები ფინანსთა მინისტრობის დროს და შემდეგ უკვე მთავრობაში, საქართველოს მთავრობის ინიციატივები შემდეგში მდგომარეობდა — პირველი — რომ დაგვეწესებინა ჭერი საპროცენტო განაკვეთებზე და არ ყოფილიყო 700 და 800-პროცენტიანი სესხები საქართველოში, არ ყოფილიყო ის უსამართლო თამაშის წესები, რომელიც თქვენ დაგვიტოვეთ. მეორე — ყოფილიყო ჯარიმებზე და საურავებზე მაქსიმალური ზღვარი, რომ ადამიანს სახლი არ დაეკარგა ამის გამო. შემოვიდა ზღვარი 200 000 ლარზე, რომ ყოფილიყო ლარიზაციის წახალისება, რომ ყოფილიყო რეალური შედეგი ჩვენი მოქალაქეებისთვის. მინდა, შეგახსენოთ, რომ დღეს ჩვენს საბანკო სექტორში გაჩნდა პროდუქტი — 7-პროცენტიანი სესხი ლარში. მინდა, შეგახსენოთ, თქვენს პერიოდში საპროცენტო განაკვეთი რამდენი იყო? — 21 პროცენტი. გაიხსენეთ, სამჯერ შემცირდა საპროცენტო განაკვეთები.**

**რეალობის მოსმენა უნდა ისწავლოთ მეგობრებო —- არსებობს წინსვლები და არსებობს გამოწვევები. მე სამსახიობო ნიჭში სამწუხაროდ, კონკურენციაში ვერ შევალ ზოგიერთ წარმომადგენელთან, ამიტომ, გთხოვთ, შინაარსზე გაამახვილეთ ყურადღება, თუ გაქვთ შინაარსობრივი შეკითხვები.**

**რაც შეეხება „თი-ბი-სი ბანკის“ საკითხს — ყველა ინსტიტუციური აქციონერი „თი-ბი-სი-ში“, მათ შორის „თი-ბი-სის“ მენეჯმენტი თანხმდება და მოხდა ეროვნულ ბანკთან შეთანხმება იმაზე, რომ ეროვნულმა ბანკმა რა სანქციებიც გამოიყენა, იყო ლეგიტიმური. თქვენ ინსტიტუტებზე საუბრობთ. ეროვნული ბანკის მოქმედებები იყო ლეგიტიმური და მათ შორის ყველაფერი, რაც ამას მოჰყვება, ესეც არის ლეგიტიმური. ეს არის პასუხი ინსტიტუციური აქციონერების და საერთაშორისო საინვესტიციო ფონდების. რა თქმა უნდა, ეს არის ტყუილი, რასაც თქვენ ამბობთ.**

**„თი-ბი-სი ბანკთან“ დაკავშირებით კიდევ ერთხელ ვიმეორებ — მოხდა შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „თი-ბი-სი ბანკს“ შორის. ეს შეთანხმება გაზიარებულია მისი ყველა ინსტიტუციური ინვესტორის მხრიდან და გაზიარებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან“.**

* * *

პრემიერმა მეორე ინტერპელაციის შეკითხვებზეც ისაუბრა, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო სტრუქტურების შენახვას და იმას, რამდენად ხარისხიანი და ადეკვატურია აქედან მიღებული სერვისი. ისაუბრა საბიჯეტო სახსრების ტრანსფარენტულობასა და გამჭვირვალობაზე, საბიუჯეტო პარამეტრებზე და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე, როდესაც ოპონენტების მიმართ ისმის კრიტიკა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაციაა.

საუბარი შეეხო კრიტიკული პროფესიების — მასწავლებლების, პოლიციელების, სამხედროების მიმართ საბიუჯეტო სახსრების გაზრდას, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას. პრემიერმა ისაუბრა სიღარიბის თემაზეც.

**„ბოლოს, მე მინდა ყველაზე მტკივნეულ საკითხს შევეხო და ეს არის სიღარიბე. ეს არის სწორედ ის საკითხი, სადაც მე ვისურვებდი, რომ ყველაზე მწვავე კითხვები ისმოდეს ჩემს მიმართაც და ყველას მიმართ. იმიტომ, რომ ეს არის საერთო გამოწვევა და საერთო მტერი. ის უნდა იქნას დაძლეული. ამის მაგივრად ვისმენთ იმას, რაც მოვისმინეთ 20 წუთის წინათ. უყურეთ, რა ჩავიბარეთ თქვენგან. რა სიღარიბის ნიშნული. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა და ამაზე არის სასაუბრო, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ეს. ამაზე კონკრეტული პროექტებიც არის წარმოდგენილი. მე შემაჯამებელ სიტყვაში ვისაუბრებ ამაზე. მაგრამ, რაც მსურს გითხრათ ამ გამოსვლის დროს, არის შემდეგი — „ქართული ოცნება“ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მნიშვნელოვანს: პირველი, წვდომას ყველაზე მაღალი სტანდარტის განათლებაზე. მეორე, წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე უფასოდ. მესამე, ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებს სურსათის პრობლემას ყველა ღარიბ ოჯახში. შემდეგ იქნება თქვენგან იგივე სიტყვები ნათქვამი, რაც თქვით გასული საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომ ყველაფერი, მათ შორის ვალების ჩამოწერაც კეთდება მხოლოდ არჩევნებისთვის. აქედან გამომდინარე, წინასწარ გაფრთხილებთ, რომ შეგიძლიათ მოამზადოთ წინადადებები, როგორ გამოთქვამთ თქვენს მოსაზრებას ამისთვის.**

**ამავე დროს, მინდა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მივმართო, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ იქნება ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამ ფუნდამენტურ საკითხს ჩვენი ქვეყნისთვის — ეს იქნება წვდომა უმაღლესი სტანდარტის განათლებაზე, წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე. მე არ მიყვარს ციფრებით სპეკულირება, სიღარიბე არის ყველაზე დიდი ტკივილი ოკუპაციასთან ერთად ჩვენთვის — ის, რომ თითოეულ ქართველ ღარიბ ოჯახს, რომელსაც რეალურად სჭირდება დახმარება, არასდროს არ ექნება საკვების პრობლემა“.**

---

**◉ უკომენტაროდ!..**

# „ერთმორწმუნე“ რუსეთი ლონდონს მოუწოდებს, „თბილისს სოხუმისა და ცხინვალის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭიროს“

**მორიგი მტკიცებულება საქართველოში მოქმედი იმ ძალების ყალბი ნარატივის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ, დასავლეთი საქართველოსთვის მტრად წარმოაჩინონ, ხოლო რუსეთი — ძლიერ ერთმორწმუნე ძმად“: რუსეთი დიდ ბრიტანეთს მოუწოდებს, „თბილისს სოხუმისა და ცხინვალის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭიროს“.**

რუსული მედიის ინფორმაციით, ბრიტანეთში რუსეთის საელჩომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტით მიმართა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**„საქართველოს მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაში განსახილველად „შიდა გადაადგილებული პირების, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილების მდგომარეობის შესახებ“ რეზოლუციის პროექტის შეტანა კონტრპროდუქტიულია. მსგავსი ინიციატივების ლობირებისას თბილისი ჰუმანიტარულ პრობლემატიკას იყენებს და სპეკულირებს იმ ქართველებით, აფხაზებით, ოსებითა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით, რომლებიც საქართველოს მიერ აგრესიული და ნაციონალისტური პოლიტიკის გატარების შედეგად დაზარალდნენ, მათ შორის — 2008 წელს. სრულიად მიუღებელია, რომ რეზოლუციის ქართულ პროექტში, საერთაშორისო სამართლის რეალიების საწინააღმდეგოდ, მოყვანილია თეზისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს კუთვნილების შესახებ. ეს ინიციატივა ანადგურებს ასევე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების — სადღეისოდ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მოლაპარაკებათა ერთადერთი არსებული ფორმატის ეფექტურობას: თბილისის გამუდმებული მცდელობების ფონზე, დევნილების საკითხები განსახილველად გაეროს პლატფორმაზე გაიტანოს, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი წარმოდგენილები არ არიან და, შესაბამისად, საკუთარი არგუმენტაციის წარმოდგენის საშუალება არ აქვთ, სოხუმი და ცხინვალი საფუძვლიანად აცხადებენ უარს ამ საკითხების ჟენევაში განხილვაზე. დღემდე ლონდონი გენერალურ ასამბლეაში საქართველოს წამოწყებებს მხარს უჭერდა, — როგორც ჩანს, თვლიდა რა ამას როგორც დამოუკიდებელ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, ისე ჩვენს ქვეყანაზე — რუსეთზე ზეწოლის ინსტრუმენტად. ვიმედოვნებთ, დიდ ბრიტანეთში აცნობიერებენ, რომ მსგავსი „ზეწოლა“ უშედეგოა და მხოლოდ ართულებს სამხრეთ კავკასიაში დევნილების პრობლემის გადაწყვეტას“,** — ნათქვამია დიდ ბრიტანეთში რუსეთის საელჩოს მიერ წარდგენილ ნოტაში.

# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მიმდინარე წლის 1-დან 10 ივნისის ჩათვლით თბილისში ტარდება საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით — „ტოპოლოგიურ და ძლიერ კორელირებულ სისტემებში აღმოცენებული დაბალგანზომილებიანი კვანტური სისტემები“.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან პროფესორი რაინჰოლდ ეგერი (დიუსელდორფის უნივერსიტეტი), პროფესორი გიორგი ჯაყელი (შტუტგარტის უნივერსიტეტი), ილიას უნივერსიტეტის პროფესორები, აკადემიკოსები ალექსანდრე ნერსესიანი და გიორგი ჯაფარიძე.

ღონისძიება თანადაფინანსებულია „ფოლკსვაგენის“ ფონდის და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. კონფერენციას მასპინძლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

კონფერენციის ძირითადი თემაა თანამედროვე ნანოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებულ მასალებში აღმოცენებული უჩვეულო თვისებების შესწავლისას მიღებული უახლესი ექსპერიმენტული შედეგების და თეორიული მიდგომების განხილვა.

მასში მონაწილეობს 60-ზე მეტი წამყვანი მეცნიერი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან, მათ შორის, მაქს პლანკის საზოგადოების შტუტგარტის მყარი ტანის ფიზიკის და დრეზდენის კომპლექსურ სისტემათა ფიზიკის ინსტიტუტებიდან ოთხი მიმართულების დირექტორი, ჩრდილოეთის ქვეყნების თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (NORDITA) დირექტორი, აბდუს სალამის სახელობის ტრიესტის საერთაშორისო ცენტრის კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელები, ბრაზილიის ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი და მრავალი გამოჩენილი თუ წარმატებული ახალგაზრდა მკვლევარი ევროპის და ამერიკის სამეცნიერო ცენტრებიდან.

კონფერენციაში მონაწილეობენ ახალგაზრდა სტუდენტებიც, პირველ რიგში საქართველოდან და ასევე იაპონიიდან, გერმანიიდან, ირანიდან, ესპანეთიდან, ნიდერლანდების სამეფოდან და უკრაინიდან.

სამი სხდომა 2,8 და 9 ივნისს ჩატარდება ილიას უნივერსიტეტის G-კორპუსის 106 აუდიტორიაში, ხოლო ოთხი სხდომა 3,4,6 და 7 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მე-5 სართულზე.



# რონ მეტრეველი: დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ოდითგანვე საქართველოსი იყო!

**დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების პრობლემა გასული საუკუნიდან მომდინარეობს. მიზეზი დავისა XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებაა (ამის შესახებ ქვემოთ). ამჯერად, ჩვენ გვინდა ისტორიულ ასპექტში წარმოვადგინოთ აქსიომური ჭეშმარიტება — გარეჯა, შესაბამისად გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დასაბამიდან საქართველოსია.**

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, დავითის ლავრა თბილისიდან დაახლოებით 70 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. გარეჯა არის მთა კახეთის ქედზე. მისი სიმაღლე 2500 მეტრამდეა. გეოლოგებს მთის აგებულება წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზედაიურულ-ვალანჟირული ძლიერდანაოჭებული მერგელებითა და მერგელიანი თიხა-ფიქლებით აგებული. ნიშანდობლივია, რომ მთის კალთები ძირიდან შუამდე შემოსილია წიფლის ტყეებით. ზედა ნაწილი სუბალპური მდელოებითაა (გამოიყენება საძოვრებად) დაფარული.

სწორედ გარეჯის კლდოვან მთებში VI საუკუნეში ერთ-ერთი ასურელი მამის მიერ დაარსებულ იქნა მონასტერი. დამაარსებელი დავით გარეჯელი იყო (აქედან სახელწოდება „დავითგარეჯა“). იგი ანტიოქიიდან მოსულა და მონასტრის პირველი წინამძღვრობაც თავს უდვია. დავით გარეჯელის თაოსნობით მისმა მოწაფეებმა დოდომ და ლუკიანემ გარეჯის სანახებშივე დააარსეს ახალი მონასტრები.

საერთოდ, ასურელი მამების საქართველოში წამოსვლის თაოსანი იოანე ზედაზნელი ყოფილა. დავით გარეჯელის შემდეგ მოწაფეებთან ერთად სწორედ ის ჩამოსულა. წყაროებში იხსენიებიან „ათორმეტი“ ან „ათცამეტი ასურელი მამანი“. სინამდვილეში, როგორც ჩანს, ისინი მეტნი ყოფილან. ისტორიამ შემოგვინახა ზოგიერთი ასურელი მამის სახელი. ესენი (ზემოდასახელებულების გარდა) არიან: აბიბოს ნეკრესელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი (ხირსელი), ისიდორე სამთავნელი, მიქელ ულუმბოელი, ზენონ იყალთოელი, ელია დიაკონი, პიმენი, ნათანე და იოანე.

> გარეჯა (შესაბამისად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი) ძველ ქართულ პროვინციაში — კუხეთში მდებარეობდა. ეს მხარე მოიცავდა მდინარეებს — არაგვისა და მტკვრის სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი ქ. რუსთავი იყო.

ასურელი მამების სახელთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის განმტკიცება, ბევრი მონასტრის აშენება — მონასტერთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია („გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“), მათ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის გაქრისტიანებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი დავითის ლავრა იყო. თანდათან ჩამოყალიბდა ცენტრისგან დაშორებული სამონასტრო კომპლექსის ქსელი: წამებული, ნათლისმცველი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები. ვერანგარეჯა, პირუკულმართი, პატარა ქვაბები. დავითგარეჯის მონასტრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მონასტერთა კომპლექსს განსაკუთრებული ამაგი დასდო დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.), გაათავისუფლა სახელმწიფო გადასახადისაგან და ყოველმხრივ უწყობდა მათ დაწინაურებას.

იხ. 5 გვ.







## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

# განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:

**1. ლეონარდე დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია — კულტურულ მცენარეთა გენეტიკისა და სელექციის დარგში.**

**2. აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის პრემია — ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის დარგში.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაზღვრული პერიოდულობით ანიჭებს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობით აკადემიურ პრემიებს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერულ ნაშრომებს.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია. პრემია შეიძლება მიეცეს ავტორთა ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ უცხო ქვეყნის მოქალაქესაც.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც უკვე მიენიჭა სახელმწიფო ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატს წამოაყენებენ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წარწერით „- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად“ — უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ);

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2019 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, რუსთაველის გამზ. № 52, ოთახი 320.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2 99-00-52.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# სტ „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“

**„დიასპორული საქმიანობა მსოფლიოს გარშემო საერთო ქართული საქმეა, რომელშიც თითოეული ადამიანის წვლილი ფასდაუდებელია. ჩვენი სახელმწიფოს წარმატების აუცილებელი წინაპირობა კი საერთო ეროვნული მიზნების გარშემო ერთობაა, რისი მრავალი მაგალითიც საბედნიეროდ გვაქვს“** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დირექტორი **რატი ბრეგაძე** ქართული დიასპორის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, საქართველოს მთავრობის მიერ ამ სფეროში გადადგმული ნაბიჯების და მიღწევების შესახებ დიასპორული მედიამაუწყებლის – DIASPORA.GE-ს ექსკლუზიურ კითხვებზე პასუხობს, საიდანაც ჩვენი მკითხველი არა ერთ საინტერესო და საყურადღებო ინიციატივის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.

**– ბატონო რატი, ცნობილია, რომ თქვენი უშუალო მონაწილეობით და ინიციატივით, საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი ქართულ დიასპორასთან კავშირის აუცილებლობის შესახებ. თუ შეგიძლიათ, ვრცლად განუმარტოთ საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობის არის ეს ჩანაწერი და რა ფუნქცია შეიძლება დაეკისროს მას?**

ის, რომ საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი ქართულ დიასპორასთან კავშირის აუცილებლობის შესახებ, გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დიასპორის მნიშვნელობის სიღრმისეული გააზრებიდან და მიუთითებს საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ სახელმწიფოს მაღალ პასუხისმგებლობაზე. საქართველოს სახელმწიფომ თავის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად თანამემამულეებზე ზრუნვა გაიხადა, რაც აისახა ქვეყნის უზენაეს კანონში – კონსტიტუციაში. საქართველოს პარლამენტმა, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის სრულყოფისთვის საქართველოს კონსტიტუციაში განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მინდა, აღვნიშნო, რომ პირველად ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

მეორე მნიშვნელოვანი ჩანაწერი გახლავთ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და სხვადასხვა მიზეზით სჭირდებოდათ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება, უწევდათ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, რაც, ხშირ შემთხვევაში მათ სურვილს ეწინააღმდეგებოდა. საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ორმაგი მოქალაქეობის კონსტიტუციური აკრძალვა.

**– სულ ახლახან დიასპორის დეპარტამენტის მიერ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, შეიქმნა უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის ელექტრონული წიგნები. თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად გვითხარით ამ პროექტის შესახებ.**

– დიასპორის მიმართ საგარეო უწყების პრიორიტეტების ქვაკუთხედს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში, განსაკუთრებით კი მოზარდებში ქართული ცნობიერების ჩამოყალიბება, განვითარება და სათანადო ხარისხში აყვანა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის პირველად მოამზადა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა – საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების გაერთიანებული სწავლების კურსი. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოების კომპლექტი, რომელიც მოიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს, კალიგრაფიის რვეულს და მასწავლებლის გზამკვლევს. სახელმძღვანელოები განკუთვნილია 6-დან 14 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და შესაბამისი საფეხურის მიზნების მიღწევას.

**– თქვენი ინიციატივით შექმნილი პროექტი „გახდი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“- რომელიც ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად ითვლება, გახდება თუ არა მომავალ წელს უფრო მასშტაბური და მოიცავს თუ არა სხვა ქვეყნებსაც?**

## დიასპორული საქმიანობა მსოფლიოს გარშემო საერთო ეროვნული ქართული საქმეა



– დიასპორის ახალგაზრდა თაობის როლისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მათი პოტენციალის სრულად რეალიზების და სამშობლოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის მიზნით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამემამულე სტუდენტების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას სამშობლოს სასიკეთოდ. პროგრამა მძლავრი მექანიზმია სახალხო დიპლომატიის გასააქტიურებლად. „ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამის საშუალებით, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ და სწავლობენ საზღვარგარეთ, შესაძლებლობა ეძლევათ, ერთწლიანი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული ღონისძიებების განხორციელებისა და უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის შექმნის გზით მოახდინონ მათი თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ, გაზარდონ საქართველოს ცნობადობა, პოპულარიზაცია გაუწიონ ქართულ კულტურას. 2018 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროექტის -„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, შემოსული 76 განაცხადიდან, ღია კონკურსის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით 15 გამარჯვებული გამოავლინა შემდეგი ქვეყნებიდან: ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო, ავსტრიის რესპუბლიკა, პოლონეთის რესპუბლიკა, შვედეთის სამეფო, თურქეთის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, იტალიის რესპუბლიკა, უკრაინა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთის რესპუბლიკა, ისრაელის სახელმწიფო, ნიდერლანდების სამეფო. 2018 წლის 8-9 ნოემბერს, ქ. თბილისში ჩატარდა „ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი“, რომელზეც გამარჯვებულმა „ახალგაზრდა ელჩებმა“ წარმოადგინეს სამოქმედო გეგმა.

**– ბოლო პერიოდში გამოითქმის განსხვავებული მოსაზრებები „დიასპორის ფორუმთან“ დაკავშირებით, როგორია თქვენი ხედვები ამასთან დაკავშირებით და იგეგმება თუ არა სიახლეები?**

– როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 27 მაისი ქართული დიასპორის დღედ არის გამოცხადებული და იგი ყოველ წელიწადს, ტრადიციულად საქართველოში აღინიშნება. „დიასპორის დღის“ აღნიშვნას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. გარდა იმისა, რომ იგი განუმტკიცებს ჩვენს დიასპორას სამშობლოსთან ერთიანობის განცდას, იგი მძლავრ იმპულსს სძენს დიასპორის საქმიანობას. ზოგადად ამგვარი ფორუმები საუკეთესო პლატფორმაა დიასპორასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გასაღრმავებლად, კონტაქტების დასამყარებლად, ხელს უწყობს დიასპორის ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში და განვითარების პროცესში, მათ აქტიურ მონაწილეობას საზღვარგარეთ საქართველოს და მისი შესაძლებლობების წარმოჩენაში. სახელმწიფოს კი უიოლებს დიასპორის წინაშე არსებული პრობლემების უკეთ აღქმას და მათ გაანალიზებას. საგარეო საქმეთა სამინისტრომ წელსაც არ დაარღვია ღონისძიების ფორმატი და 27-28 მაისს, თბილისში გამართა დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი, რომლის ფარგლებშიც მუშაობდა ოთხი თემატური ჯგუფი: განათლება, კულტურა, მედია და სახალხო დიპლომატია, ბიზნესი და ეკონომიკა. თემატურ ჯგუფებში მომხსენებლებმა წარმოადგინეს თავიანთ ხედვა და გაუზიარეს პროფესიული ცოდნა ფორუმის მონაწილეებს. თემატურ ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებები შემდგომში ასახვას ჰპოვებს სამინისტროს სამომავლო გეგმებში.

**– ელჩების კონფერენციის შემდგომ საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში გამოიყოფა დიასპორის მხრიდან წამოსული ინიციატივების მხარდასაჭერად რესურსები, კონკრეტულად რა სახის პროექტების მხარდაჭერას ისახავს მიზნად საგარეო საქმეთა სამინისტრო?**

– დიასპორასთან მიმართებით სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების სათანადოდ განხორციელებისთვის აუცილებლობად იკვეთება დიასპორულ საქმიანობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ჩართულობის მაღალი დონის უზრუნველყოფა. გამოწვევასთან გამკლავება დიასპორული ინიციატივების წამახალისებელი სისტემური მიდგომის დანერგვას საჭიროებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო იწყებს უპრეცედენტო „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, კონკურსის წესით დაფინანსდება საქართველოს მოქალაქეთა მიერ დიასპორულ საქმიანობასთან დაკავშირებული პროექტები. უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც თანხვედრაში იქნება სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებულ ჩვენს საერთო მიზნებთან, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, საქართველოს და ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ახალგაზრდა თანამემამულეების მოზიდვისა და ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მათი ჩართვის, საქართველოს საგარეო მისწრაფებების – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობის, დიასპორული ინვესტიციების მოზიდვის, დიასპორული ტურიზმის განვითარების და სხვ. კუთხით. პროგრამის არსია, საქართველოს მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გამჭვირვალე კონკურსის გზით მოახდინონ საკუთარი იდეების რეალიზება, რაც დიასპორულ საქმიანობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის და საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შორის კავშირის გაღრმავებას ქმედითად შეუწყობს ხელს. პროექტების წარდგენა შეუძლია საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს. გადაწყვეტილებას პროექტების დაფინანსების თაობაზე მიიღებს უწყებათაშორისი კომისია, რომელიც შედგება საგარეო საქმეთა სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლებისაგან.

**– უცხოეთში უამრავი ახალგაზრდა იმყოფება, ასევე არსებობს ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც სულ უფრო აქტიური ხდება. უცხოეთში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის რას გეგმავს სახელმწიფო?**

– ახალგაზრდობის თემატიკა პირადად ჩემთვის განსაკუთრებულად პრიორიტეტულია. მოგეხსენებათ, 3 წლის განმავლობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვიმუშავე მინისტრის მოადგილედ და უშუალოდ ვკურირებდი ახალგაზრდულ დარგს. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ახალგაზრდა ელჩების პროექტიც, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. სახელმწიფო მიესალმება და მხარს უჭერს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის სტუდენტური ან ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნას, მათ ფუნქციონირებას, ახალგაზრდული ღონისძიებების, მათ შორის, საერთაშორისო ფორუმების და ონლაინ ფორუმების ორგანიზებას, სტუდენტთა სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლას და მოზარდებისა და ახალგაზრდების ბანაკებში დასვენებას.

ჩვენი ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მომავალია. უცხოეთში სასწავლებლად, თუ სამუშაოდ წასული ახალგაზრდებიდან ყველა შეიძლება ვერ დაბრუნდეს სამშობლოში, მაგრამ ჩვენი, როგორც სახელმწიფოს მოვალეობაა, დიასპორის ახალგაზრდა თაობის როლისა და საჭიროებების გათვალისწინება, მათი პოტენციალის სრულად რეალიზების და სამშობლოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.

განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო, რომ ახლად შექმნილი „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა“ ასევე აძლევს ახალგაზრდებს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ საკუთარი იდეები განახორციელონ. მჯერა, რომ მათი მონაწილეობა განსაკუთრებით დიდი იქნება.

**– რას უსურვებდით დიასპორულ მედიამაუწყებელ** diaspora.ge**-ს და ჩვენს მკითხველს – ემიგრანტებს, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს.**

– მისასალმებელია ინტერნეტ სივრცეში დიასპორული მედიამაუწყებლის – diaspora.ge-ს, ქართული დიასპორის ერთიანი საინფორმაციო პორტალის დაარსება. მით უფრო, რომ ინიციატივა თავად დიასპორისაგან მომდინარეობს. diaspora.ge-ს ვუსურვებდი, ყოფილიყოს დიასპორის ყველა ჯგუფის ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული, ყველასთვის საინტერესო და სანდო. ჩვენს დიასპორას კი ვუსურვებ ჩვენი საერთო, უმნიშვნელოვანესი მიზნების ირგვლივ გაერთიანებას, წარმატებებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას და ღირსეულ დაბრუნებას.

ბოლოს კი აღვნიშნავდი, რომ დიასპორული საქმიანობა მსოფლიოს გარშემო საერთო ქართული საქმეა, რომელშიც თითოეული ადამიანის წვლილი ფასდაუდებელია. ჩვენი სახელმწიფოს წარმატების აუცილებელი წინაპირობა კი საერთო ეროვნული მიზნების გარშემო ერთობაა, რისი მრავალი მაგალითიც საბედნიეროდ, გვაქვს.

**ესაუბრა**
**ავთანდილ გიუნაშვილი**

№ 109-110. შაბათი-კვირა, 1-2 ივნისი, 2019 წელი.



## რონ მეტრეველი:

# დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ოდითგანვე საქართველოსი იყო!

(მესამე გვერდიდან)

ნიშანდობლივია, რომ გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს ანტონ გლონისთავისძეს, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა მიქელ კათალიკოსთან, გარეჯში გაუგრძელებია საქმიანობა. მეფე თამარს (1179-1213 წწ.) სწორედ აქედან ჩამოუყვანია: „მოიყვანა ანტონი გლონისთავისძე გარეჯით... დასვეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისხევი და მწიგნობართუხუცესობა“.

ჟამთააღმწერელი შეშფოთებული აღწერს ბერქა ყაენის სარდლობით მონღოლთა ლაშქრის მიერ გარეჯისა და მისი მიდამოების დარბევას: „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორისპირი, და მოვიდა ლაშქარი თბილისამდე და მრავალი სულ ქრისტიანე მოსწყდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯასათა“.

დავითგარეჯის მონასტრები განსაკუთრებით წარმატებულნი გახდნენ დემეტრე II თავდადებულის (1270-1289 წწ.) მეფობის დროს. ამ პერიოდში ქვეყანაში დაწინაურებული იყო (ათაბაგისა და ამირსპასალარის თანამდებობები ეკავა) ტიპური მედროვე, გასომხებული ქურთის შთამომავალი სადუნ მანკაბერდელი. იგი ძირითადად საკუთარ წინსვლასა და სიმდიდრის დაგროვებას ცდილობდა. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მას კარგი საქმეც გაუკეთებია (ცხადია, აქ დიდი იქნებოდა დემეტრე თავდადებულის როლიც): „... ქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელ დღეთა ცხოვრებისა მისისასთა მან მისცა ყალანი (სალაშქრო) და მალი (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი) ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განათავისუფლა ქვეყანა გარეჯისა და მსახურებდეს მეფეს დიმიტრის ერთგულად“.

დავითგარეჯა XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს (1299/318-1346 წწ.), გაფართოვდა, განვითარდა და ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ძალად იქცა. დამანგრეველი იყო თემურ-ლენგის შემოსევები (1386-1403 წწ.), რომლის რვაგზისმა შემოსევამ მძიმე დღეში ჩააგდო ქვეყანა და შესაბამისად სამონასტრო ცხოვრება. დაიმცრო დავითგარეჯაც. საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია ალექსანდრე I-ის (დიდი) მეფობა (1412-1442 წწ.), რომელმაც, როგორც თავად აღნიშნავს საგანგებო სიგელში, საქართველოდან ურჯულოები განდევნა და ქვეყანას მყუდროება და სიმშვიდე მოუპოვა. მის სახელთანაა დაკავშირებული სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიის აღდგენა. ამასთან, დავითგარეჯა სწორედ სვეტიცხოველს შესწირა. მძიმე იყო სპარსელთა შემოსევები (1616-1617 წწ.), — დავითგარეჯა დაარბიეს. მონასტრებმა პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგა თეიმურაზ I-ის დროს (1606-1648 წწ.), კერძოდ, 1639 წელს. XVIII საუკუნეში დავითგარეჯა კვლავ მეფეს დაქვემდებარებული იყო. მონასტერს გამგებლობაში ჰქონდა სოფლები და ვრცელი მამულები. აქ მოსახლენი დავითგარეჯის ყმებად ითვლებოდნენ. მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.

დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლადაა აღიარებული. განსაკუთრებულია მისი მოხატულობაც.

დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მთავარი ეკლესიებისა და სატრაპეზოების მოხატულობა. დავითგარეჯის მხატვრობას მნიშვნელოვნად ხდის ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები. აღსანიშნავია ბერთუბნის ეკლესიის ფრესკა მეფე თამარი და ლაშა-გიორგი, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში — მეფე დემეტრე II თავდადებული. დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, განსაკუთრებულია უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის აფსიდის მოხატულობაც; საინტერესოა უდაბნოს მთავარ ეკლესიაში მოხატული სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ დავითგარეჯის მონასტერში სხვადასხვა დროს საქმიანობდნენ ცნობილი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწენი: დემეტრე I, ონოფრე გარეჯელი (XVII-XVIII სს.), ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIII სს.), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს.) გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს.), გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვ.

შემორჩენილია ქართული წარწერები, მათ შორის VI-VII საუკუნეების ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სტელაზე.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გათხრებმა (აკად. წევრ-კორ., პროფ. კ.ფიცხელაური და სხვ.) დაადასტურა, რომ ძველი ქვის ხანიდან მოყოლებული აღნიშნული მხარე ადამიანის მიერ უკვე ათვისებულია, ხოლო ბრინჯაო-ადრერკინის ხანის რამდენიმე დასახლება და სამაროვანია აღმოჩენილი, რომელიც აღმოსავლურ-ქართული კულტურის ორგანული ნაწილია. ამგვარად, აქ ჩვენს წინაპრებს კომპაქტურად უცხოვრიათ ძვ. წ. VI ს-ში ეკოლოგიური პირობების გაუარესებამდე. შემდეგ კი შუა საუკუნეებში ამ ტერიტორიას საძოვრებად იყენებდნენ.**

1924 წლიდან მონასტრის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიის ფედერაციის აღმასრულებელი კომისიის დადგენილებით (საქართველოს აჯანყების შემდეგ!) აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა იმ საბაბით, რომ იქაური მომთაბარე მწყემსები საძოვრების ნაკლებობას განიცდიდნენ. ეს დანაშაულებრივი ქმედება იყო საქართველოს ხელისუფლებისა.

**დღეისათვის საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი დავითგარეჯის მონასტრის ამაღლებულ მთაგორიან ნაწილზე გადის. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის 1919 წლის 16 ივნისს დადებული „თავდაცვითი ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც საშიშროების შემთხვევაში ერთად დაიცავდნენ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, ხელშეკრულებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ან იმაზე, რომ დავითგარეჯის სატაძრო კომპლექსი „ალბანური კულტურის“ ძეგლია (ამჟამად არის ამის დასაბუთების ფუჭი მცდელობა) და არა ქართული ქრისტიანული სიწმინდე.**

ეს ადგილები 1921 წელს მოინახულა და შეისწავლა აკად. გ. ჩუბინაშვილმა. მთავრობის სახელზე გაგზავნილ „გარეჯის ექსპლუატაციის“ საექსპერტო დასკვნაში ის აღნიშნავს, თუ რა უზარმაზარ კულტურულ ღირებულებათა მატარებელია ეს უნიკალური ქართული ქრისტიანობის ძეგლი. 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „დავითგარეჯის მღვიმური მონასტრები“, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს გარეჯის კომპლექსის შესახებ.

ზოგი რამ უახლესი ისტორიის შესახებ: მღვდელმონაზონმა გერმოგენმა 1918 წელს დაბეჭდა გაზეთ „საქართველოს“ 2 და 14 იანვრის ნომერში ვრცელი ინფორმაცია „დავით გარეჯის უდაბნოს აკლება“. მამა გერმოგენი იტყობინებოდა: აზერბაიჯანელმა მწყემსებმა, რომლებიც ცხვარს ყარაიას ველზე აძოვებდნენ, ზამთრის სადგომებად მოითხოვეს საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ნაგები და მოხატული დავითგარეჯისა და უდაბნოს სამონასტრო კომპლექსები; თავს დაესხნენ ლავრას, გაძარცვეს მონასტრები, გაანადგურეს ჯვარხატები და გადაწვეს იქაურობა, წერაქვებით დაშალეს ნაგებობები. იმხანად ეს ვანდალიზმი აღკვეთეს. შემდგომ პერიოდში თვით საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაულებრივი აქტი: ყოველგვარი წესის დარღვევით 1922 წლის 28 იანვრიდან ყარაიასა და უდაბნოს დიდი ნაწილი სპეციალური დადგენილებით (როგორც საძოვრები და არა კულტურის ძეგლები!) საბჭოთა აზერბაიჯანს გადასცა. ამ „საძოვრებში“ აღმოჩნდა ბერთუბნისა და უდაბნოს მონასტრები, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის, დემეტრე II თავდადებულის და ქტიტორთა დიდებული ფრესკებით. ლავრა მომთაბარე მწყემსების თავშესაფარი გახდა.

**ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 30 აპრილის დადგენილებით, ელდარის სტეპი აზერბაიჯანის სსრ გადაეცა. ადმინისტრაციულმა საზღვარმა დავით გარეჯისკენ გადაინაცვლა, რომელიც ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ მიწა-წყალს წარმოადგენდა.**

1925 წლის 17 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების კომისრების ა. გეგეჭკორისა და ი. ბუნიათ-ზადეს შეხვედრა სიღნაღისა და ზაქათლის მაზრების („უეზდების“) საზღვრების სადავო მონაკვეთების თაობაზე.

გადაწყდა საზღვარი ალაზანზე დარჩენილიყო, ხოლო გარეჯის მიმდებარე საძოვრები „შრომითი გამოყენების პრინციპით“ მიემაგრა აზერბაიჯანს, რადგან ისინი თითქოს „ფაქტიურად მათ შრომით სარგებლობაში იმყოფებოდა“. ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით დავითგარეჯის მონასტრის კულტურის ძეგლების დაცვა დაევალა საქართველოს სსრ თბილისის მაზრის აღმასკომს. გამოიყო შეიარაღებული მცველების საშტატო ერთეულები. მოხდა რამდენიმე შეტაკება ძეგლის მცველებსა და აზერბაიჯანელ მწყემსებს შორის, რომელთაც ეწადათ საქონლის ზამთრის სადგომად გამოეყენებინათ სამონასტრო ნაგებობები. 1926 წლის იანვარში ეს კონფლიქტური სიტუაცია განხილულ იქნა „ზაკ კრაიკომის“ სხდომაზე, რომელმაც კანონიერად ცნო 1922 წლის ხელშეკრულება „საძოვრების გამოყენების თაობაზე“. 1929 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის სსრ ფედერაციის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ახალი დადგენილება „გარეჯის ზამთრის საძოვრების და ელდარ სამუხის ზამთრის საძოვრების შესახებ“. საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარმა ჩიჩხიტურის სერსა და იქ მდებარე კოშკზე გაიარა.

პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საბუთი რუსულ ენაზეა შედგენილი და გამოქვეყნებულია.

**ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ეს უძველესი ქართული კულტურისა და განათლების ძეგლი ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებიდან მოყოლებული, ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტად არის გამოცხადებული. 2008 წლის 24 ოქტომბრიდან გაეროს 33-ე სესიაზე შეტანილია „იუნესკოს“ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა წინასწარულ ნუსხაში. ამ კომპლექსს აზერბაიჯანელები „ქეოქდაღს“, ანუ „მღვდლის მთას“ უწოდებენ. პრობლემა მისი ტერიტორიული კუთვნილებისა, აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, „ღიად რჩება“. აზერბაიჯანულმა საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველო უარს ვერ იტყვის თავის კულტურულ მემკვიდრეობაზე, რაც განმტკიცებულია უამრავი წყაროებითა და დოკუმენტური მასალითაც.**

* * *

**უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, გამოვთქვა რწმენა, რომ მოვნახავთ საერთო ენას და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად დავიცავთ ქართულ სიწმინდეებს.**

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ყველა მონასტრით საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს. ეს შეიძლება გადაწყდეს მთავრობათშორისი მოლაპარაკების შედეგად. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხში უნდა დაიკავოს უაღრესად პრინციპული პოზიცია. ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა თავის ინტერვიუში (გაზ. „ასავალ-დასავალი“) განმარტა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მოლაპარაკების საფუძველზე საკითხი პრაქტიკულად გადაჭრილი იყო. შემდგომში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ საბოლოოდ დადებითი სურათი ვერ მოგვცა (საქმე ეხება დაახლოებით 500 ჰა სადავო მონაკვეთს). იქნებ მონაცვლეობის პრინციპზე დაყრდნობით შევძლოთ პრობლემის მართებულად გადაჭრა. **ხაზს გავუსვამთ, რომ დავითგარეჯის კომპლექსს არავითარი კავშირი არა აქვს არც აზერბაიჯანის და არც ისტორიული ალბანეთის, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან. იგივე მდგომარეობაშია გოზის საეპისკოპოსო საყდარი და ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია საინგილოში.**

ცნობილია, რომ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის დამდგენ I რესპუბლიკის სამთავრობო კომისიაში (1918-1921 წწ.) მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილი და პ. ინგოროყვა. 1919 წელს „საქართველოს რესპუბლიკის“ სამხედრო სამინისტროს“ ეგიდით გამოსულ ივ. ჯავახიშვილისეულ გამოკვლევას: „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და თანდართულ რუკას თავისი დიდი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ასევეა პ. ინგოროყვას ნარკვევი: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ (რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“, თბ., 1990, გვ. 13-15). დიდ მეცნიერთა ნაკვლევი მასალა უსათუოდ გასათვალისწინებელია საქართველოს რეალური საზღვრების ობიექტური დადგენისათვის.

**ამგვარად, დავითგარეჯის მონასტერთა სრული კომპლექსის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობა და კუთვნილება უძველესი დროიდან დღემდე აქსიომური ჭეშმარიტებაა და ვიმედოვნებთ სახელმწიფოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც არსებული მასალის (წყაროები, ლიტერატურა, ტრადიცია) გათვალისწინებით სამართლიანი იქნება!**

**რონ მეტრეველი**

# იმღერე, ორბის მართვეო...

## ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეში“ დღეს ბავშვთა მეთორმეტე თაობა მღერის

**დღეს ყველა ერის მომავლის – ბავშვთა საერთაშორისო დღეა, რომელსაც ყველანი დიდი სიხარულით აღვნიშნავთ. ჩვენი შვილები და შვილიშვილები ათასწლეულებში გამოტარებული ხალხის ფიზიკური და სულიერი მონაგარის პატრონები იქნებიან ცოტა ხანში – პატარები ხომ თვალსა და ხელშუა სწრაფად იზრდებიან. ჰოდა, ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის ერთ-ერთი უპირველესი განძი სიმღერაა, რომელსაც ასე გატაცებით მღერიან სახელოვანი ანსამბლის „მართვეს“ ბიჭუნები, რომელთა შესახებ და მათ ხელმძღვანელზე ამ მცირე წერილში მექნება ლაპარაკი.**



**„ლიტანიობას ჩემი ანდრია სამების საკათედრო ტაძარში იგალობებს!“ – სიამაყით მითხრა ბავშვობის მეგობარმა ზურაბ ანდრონიკაშვილმა, რომელსაც მაშინ შევხვდი, როცა შვილიშვილი „არტოს ბაღში“ გუნდის მეცადინეობაზე მიჰყავდა.**

**ანდრია ანდრონიკაშვილი ჯერ მხოლოდ რვა წლისაა, ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა – ეს ციდა ბავშვი ასე კარგად როგორ მღერის, აღდგომის ლიტურგიაზე რომ გალობს-მეთქი და მეგობარს ვთხოვე, გუნდის ლოტბარს შემახვედრე-მეთქი. ასე გავიცანი შესანიშნავი პიროვნება, ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელი ვალერი ქუტიძე.**

ვიდრე „მართვეს“ ლოტბართან საუბრის შესახებ გიამბობდეთ, პატივცემულო მკითხველო, მინდა, ქართული ხალხური სიმღერის გამორჩეული ქომაგისა და დიდებული შემოქმედის, საქართველოს სახალხო არტისტის, ანსამბლ „რუსთავის“ ერთ-ერთი დამაარსებლის ანზორ ერქომაიშვილის წიგნიდან „მართვე“ 20 წლისაა“, ერთი ამონარიდი შემოგთავაზოთ:

„სიმღერა – ერის სულიერი სარკეა, ეს არის ხმოვანი ქრონიკა, რომელშიაც აღბეჭდილია ერის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიული პროცესი, ამიტომ არაფერი ინახავს იმ მამაპაპურ ტრადიციებს და ქართულ სულს, როგორც სიმღერა. სიმღერა მარადიულია, როცა იგი თაობებს მიჰყვება, ხოლო კვდება, თუ მას ახალგაზრდობა ივიწყებს.

თუ გინდა, ხალხური სიმღერა შეინახო, ბავშვებს უნდა ასწავლო. თუ ბავშვი პატარობიდანვე შეისწავლის და შეიყვარებს ხალხურ სიმღერას, მერე სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება, ამით ძველი ტრადიციებიც გადარჩება“...

– ანსამბლი „მართვე“ 1978 წლის 31 მაისს დაიბადა, როცა პირველი კონცერტი გამართა, ასე რომ წლეულს უკვე 41 წლის გავხდით, – მითხრა ბატონმა ვალერი ქუტიძემ, როცა დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ძველ „არტოს ბაღის“ მყუდრო სარეპეტიციო დარბაზში ვეწვიე. – მე თავად „მართვეს“ პირველი თაობის წევრი ვარ, სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩავაბარე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1995 წელს, გუნდის დამფუძნებელმა, ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა ანსამბლის ლოტბარად მომიწვია. ამდენად, ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ანსამბლ „მართვესთანაა“ დაკავშირებული: რვა წელი აქ ბავშვობაში ვიმღერე და უკვე 24 წელია, გუნდის ხელმძღვანელი ვარ. ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ საყვარელ საქმეს ვაკეთებ, რასაც, სამწუხაროდ, ბედი ყველას არ არგუნებს. ამაზე დიდი სიხარული განა რა უნდა იყოს, რომ ბავშვებს ქართული ხალხური სიმღერა შეასწავლო, რაც მათ მთელი ცხოვრება გაჰყვებათ, მერე კი შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემენ! თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, ისინი პროფესიონალი მომღერლები გახდებიან თუ უბრალოდ



თავისთვის იმღერებენ.

ამასთან, ჩვენი დიდი საუნჯე – ქართული სამუსიკო ფოლკლორი, ქართული პოლიფონია, ერის ერთ-ერთი მთავარი სულიერი საგანძური და მსოფლიო მასშტაბის უნიკალური მოვლენაა, სწორედ ამ განძის შესანარჩუნებლად შექმნა სახელოვანმა ქართველმა ლოტბარმა ანზორ ერქომაიშვილმა „მართვე“. ეს ამბავი, როგორც გითხარით, გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა, როცა ქართულ ხალხურ მუსიკას სათანადოდ ჯერ კიდევ არ აფასებდნენ. იმ ხანებში ქართული ხალხური სიმღერა უმეტესად უფროს თაობაში იყო შემონახული. ამდენად, ბუნებრივია, დღის წესრიგში მომავალი თაობის სათანადოდ აღზრდის საკითხი დადგა. 70-იან წლებში „მართვე“ ქართული ხალხური სიმღერის ბიჭუნათა ერთადერთი ანსამბლი იყო, ახლა კი, საბედნიეროდ, ასეთები მრავლად გვყავს, თანაც პროფესიულად ძალიან ძლიერი.

აუცილებლად მინდა, ისიც გითხრათ, რომ ამ ანსამბლების ხელმძღვანელთა აბსოლუტური უმრავლესობა – თითქმის 90 პროცენტი – სწორედ „მართვეს“ აღზრდილები არიან. ამდენად, ის მიზანი, რომელიც „მართვეს“ შექმნისთანავე მისმა დამფუძნებლებმა ანზორ ერქომაიშვილმა და რამინ მიქაბერიძემ ჩაიფიქრეს, შესრულდა.

დღესდღეობით „მართვეს“ უკვე მეთორმეტე თაობა მღერის – ბავშვთა ანსამბლში თაობათა გამუდმებული ცვლა, ცხადია, ჩვეულებრივი ამბავია. „მართვეები“ შემდგომ ნაირ სპეციალობებს ეუფლებიან, ბევრნი კი კვლავაც სიმღერას განაგრძობენ, სხვადასხვა გუნდებში მღერიან. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მომღერალთა პროფესიული გუნდი რომ ნახოთ, თითო-ოროლა კაცი აუცილებლად „მართვეს“ ყოფილი წევრი იქნება.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით, პატარა ბიჭუნებთან ურთიერთობა უდიდესი ბედნიერებაა. ისინი ჯერ არ არიან ცხოვრების სხვადასხვა უსიამო მხარეში გათქვეფილი, სპეტაკი სული აქვთ. უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა, ბავშვებს სიმღერას ვასწავლი და ჩვენ შორის მუდამ ანკარა, სუფთა ურთიერთობებია: ისინი ზუსტად იმას ამბობენ, რასაც ფიქრობენ და ფიქრობენ იმას, რასაც ლაპარაკობენ. „მართვეში“ ისინი 6-7 წლის ასაკიდან მოდიან – თავდაპირველად სტუდიაში, შემდეგ კი, 11-12 წლიდან უკვე თავად ანსამბლში გადაგვყავს, სადაც ასევე 4-5 წელი რჩებიან. წარმოიდგინეთ: ჩვენთან 6-7 წლის ბავშვები მოდიან, ჩვენგან კი 16-17 წლის ჭაბუკები მიდიან. მათი პიროვნებებად ჩამოყალიბებაც სწორედ „მართვეში“ ხდება.

ჩვენთან ასეთი მიდგომაა: სიმღერა არ არის მთავარი, თუ შენ პიროვნება არა ხარ, რაგინდ კარგად მღეროდე, თუ სამშობლოსთვის გამოუსადეგარი ხარ, ამას ფასი არა აქვს. ამდენად, ბიჭუნები სწორედ „მართვეში“ ყალიბდებიან კაცებად, ლაზათიანად მომღერალ რაინდებად. ამ შემთხვევაში სიმღერა ერთგვარი ბონუსივითაა – კაი ყმაა კარგადაც თუ მღერის, ამას განა რამე სჯობია?! გარკვეული ხნის შემდეგ ქვეყანა ხომ სწორედ ამ დღევანდელმა ბიჭუნებმა უნდა ჩაიბარონ!

ყველაზე მთავარი სიძნელე ამ დროის მანძილზე გარდატეხის რთული პერიოდის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადატანაშია: ბიჭებში ეს პროცესი გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. აი, რას წერს ამის თაობაზე ანზორ ერქომაიშვილი წიგნში „მართვე“ 20 წლისაა“: „...როცა „მართვე“ საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ პირველი ხმების უმრავლესობას გარდატეხის, მუტაციის პერიოდი დასდგომოდათ და მანამდე წკრიალა დისკანტების მქონე სოლისტები, ახლა ჩახლეჩილი ბოხი ხმით ძლივს მღეროდნენ“.

– ამიტომაც, როცა ბიჭუნებს ხმები უბოხდებათ, ისინი მეორე ხმებში, მერე კი სულაც ბანებში გადაგვყავს, – განაგრძობს ბატონი ვალერი ქუტიძე. – თანაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, ყველასთან ერთნაირი ყაიდით მოქცევა არ გამოდის. ამდენად, ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან სათუთი საქმეა.

დღესდღეობით ანსამბლში 60 ბავშვია, არის კიდევ სტუდიის ასი აღსაზრდელი, „მართვეს“ მომავალი შევსება და, დარწმუნებული ვარ, აქ დაწყებული მეგობრობა მერე მთელი ცხოვრება გაგრძელდება, როგორც ეს მე და ჩემს მეგობრებს გვაქვს.

რამდენიმე ხნის წინათ „მართვეში“ რეორგანიზაცია მოხდა, – თუ მანამდე თბილისის მხატვრული აღზრდის სახლის ქართული ფოლკლორის ანსამბლი ვიყავით, ახლა ის მსოფლიოში სახელგანთქმული საქართველოს ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავს“ შეუერთდა, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობს. ასე რომ, ბატონმა ანზორმა მის მიერვე შექმნილი ორივე კოლექტივი, ასე ვთქვათ, ერთ ჭერქვეშ მოაქცია. ახლა ჩვენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში ვართ. ბავშვებს, სიმღერის გარდა, სოლფეჯიოს, ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრას ვასწავლით. მეცადინეობა კვირაში სამჯერაა. 2011 წელს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ „მართვეს“ ვარსკვლავი გაიხსნა. გარდა ამისა, ის არის პირველი ბავშვთა ანსამბლი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1998 წ.).

დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, მათ შორის, შობასა და აღდგომას, „მართვე“ ყოველთვის გალობს სამების საკათედრო ტაძარში. ასე იყო ახლახან აღდგომის დღესასწაულზეც, როცა იქ პირველად სტუდიის ბავშვები წავიყვანეთ, რომლებმაც ძალიან კარგად იგალობეს. „მართვეს“ საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ – ანსამბლს, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი – ბავშვები გასტროლებით იყვნენ ევროპის, ამერიკისა და აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში.

**1980 წელს საქართველოს ტელეფილმების სტუდიამ აფხაზეთში, მიუსერაში გადაიღო ფილმი „მღერის „მართვე“, რომლის რეჟისორია ზაალ კაკაბაძე. გადაღებული იყო მეორე დოკუმენტური ფილმიც, მაგრამ მთელი სამუშაო მასალის განადგურების გამო მაყურებელმა ის ვერ იხილა.**

**საგულისხმოა ისიც, რომ „მართვეს“ მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს პრეზიდენტების თითქმის ყველა ინაუგურაციაში, ანსამბლს ასევე ძალიან ხშირად იწვევენ ოფიციალურ სახელმწიფო საზეიმო ღონისძიებებზე.**

**ეს გარემოება, ვფიქრობ, სხვებზე უკეთ წარმოაჩენს თაობათა უწყვეტობას და ერთ მშვენიერ დღეს დღევანდელი მართვეები ხვალ ძლევამოსილ არწივებად იქცევიან, რომლებიც ქვეყანას გაალაღებენ და უპატრონებენ.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ დღესასწაული

# მოციქულთა სწორი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში — ნინო განმანათლებელი



**1 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ნინოობას.**

ქალწულმოწამე ნინო წარმოშობით კაბადოკიელი იყო, გადმოცემით, ნინოს მამა ზაბულონი იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. შემდეგ მას სამსახურისთვის თავი დაუნებებია და იერუსალიმისკენ წასულა, სადაც შეურთავს იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის და, სუსანა. ბოლოს მონაზვნად აღკვეცილა, დედა კი გლახაკთა სამზარეულოს მსახური გამხდარა.

**ალსანიშნავია, რომ იერუსალიმიდან ნინო იმპერატორ კონსტანტინე პირველის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა...**

მოგვიანებით ნინო ქართველთგანმანათლებელი საქართველოში წამოსულა.

სწორედ მცხეთაში, თავის სადგომში, სალოცავად აღუმართავს ვაზის ტოტისგან („ნასხლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი.

ნინოს ქადაგებითა და სამკურნალო ხელოვნებით მოსახლეობის სიყვარული და ყურადღება დაუმსახურებია. მას მეტსახელად „ტყვესაც“ ეძახდნენ, როგორც უცხოელს, უთვისტომო ადამიანს.

...ქრისტიანობას, ნინოს წყალობით, მრავალი მიმდევარი გასჩენია მცხეთაში. იქ მისვლიდან მეექვსე წელს ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ — მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის ყველა წევრი. ამის შემდეგ მეფემ ნინოს რჩევით მოციქულები გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა გაუგრძელებია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ის სამღვდელოების, ერისთავის და ჯარის თანხლებით მთიანეთში (წობენში) ასულა და წილკნელები, ფხოველები გაუქრისტიანებია...

ქართველთ განმანათლების ნინოს მადლი გფარავდეთ ქართველნო!

**გიული ლიპარტია**

◎ რა გქვია, პატარავ?



# პატარების სახელები

**შვილის დაბადება ყველა ერსა და ოჯახში უდიდესი ბედნიერებაა, ხოლო ძველისძველი დროიდან მოყოლებული, ყველგან არსებობს შვილისთვის სახელის შერჩევის თავისებური ტრადიციები და რიტუალები.**

ახალშობილს ხშირად სახელოვანი წინაპრის, ან ეროვნული გმირის, ანდა ოჯახის ახლობლის პატივსაცემად არქმევენ სახელს. უწინ, მღვდელი ახალდაბადებულს იმ წმინდანის სახელს არქმევდა, რომლის ხსენების დღესაც ბავშვი დაიბადებოდა.

მოგეხსენებათ, რომ კათოლიკე, პროტესტანტ თუ სხვა მიმდინარეობის ქრისტიანებში, ვთქვათ, ფრანგებში, გერმანელებში, პორტუგალიელებში, ესპანელებში, ინგლისელებში, ირლანდიელებში და ასე შემდეგ, დიდად პოპულარულია როგორც ვაჟის, ისე ქალის ორმაგი სახელები. მაგალითად, ანა-ლუიზა, მარია-ტერეზა, ჟან-ლუკი. ძნელი სათქმელია თუ რატომ, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი ორმაგი სახელების დარქმევა ახალგაზრდა ქართველმა მშობლებმა უფრო წამბაძველობით, ან შესაძლოა, საკუთარი თავისა და შვილის „ევროპელად“ უფრო მეტად წარმოსაჩენად დაიწყეს.

ჩემი აზრით, ერთობ საკამათო მტკიცებაა. თითქოს გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ, სწორედ გემოვნების გამო გაორმაგებული ქართული სახელები, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელად ჟღერს. მაგალითად, პირადად მე, გულიანად გამეცინა, როცა საღამო ხანს რედაქციიდან წამოსულს მაჩაბლის ქუჩაზე კოხტად გამოპრანჭულ, ულამაზეს ორი-ორნახევარი წლის კუდრაჭა გოგონას ახალგაზრდა დედიკომ დაუძახა: „თინათინ-ქეთევან, იქით არ წახვიდე! ვის ვეუბნები?!“ სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს ყურს კი ნამდვილად ჭრის ვახტანგ-მერაბი, ლამარა-თამილა და მსგავსი შეწყვილებული სახელები, აშკარად „ყურით მოთრეული“ არაბუნებრივად შეხამებულები.

ამასთანავე, საინტერესოა, მაინც რა სახელებს არქმევენ ახალშობილებს ყველაზე ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში? დარწმუნებული ვარ, არავის გაუკვირდება, რომ **საქართველოში** ყველაზე პოპულარული სახელებია ვაჟებში — **გიორგი,** გოგონებში — **ნინო,** ხოლო **რუსეთში** პირველ ადგილზე მოულოდნელად აღმოჩნდა **არტემი** და **სოფია**. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ჩვენ სამეზობლო **აზერბაიჯანში** პირველობენ **იუსუფი** და **ზაჰრა,** ხოლო **არაბეთის ქვეყნებში — მუჰამედი** და **მირიამი, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა** და **ყაზახეთში** ასეთებია — **ალიხანი** და **აიზერე**. რაც შეეხება **ევროპას, ინგლისში** მშობლები უპირატესობას **ოლივერსა** და **ოლივიას** ანიჭებენ; **ესპანეთში** — უფრო პოპულარულია — **უგო** და **ლუსია, გერმანიაში — ბენი** და **მია, იტალიაში — ფრანჩესკო** და **სოფია, ნორვეგიაში — უილიამი** და **ნორმა, სერბეთში — ნიკოლა** და **მილიცა, უკრაინაში — ალექსანდრე** და სოფია, **საფრანგეთში — გაბრიელი** და **ემა, ჩეხეთში — იაკუბი** და **ელიშკა, შვედეთში — ოსკარი** და **ალისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში** მშობლები ბიჭუნებს ხშირად **ლიამს,** გოგონებს — **ემას** არქმევენ. **მექსიკაში — სანტიაგოსა** და **ხიმენას, ბრაზილიაში** კი **მიგელსა** და **ალისას**.

რაც შეეხება **ჩინეთს,** აქ პირველ ადგილზეა **ვეი** და **ჯინგი,** რომლებიც, ალბათ, სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სახელების მქონეებზე, ყველაზე ერთად აღებულზე მეტნი უნდა იყვნენ.

**ნინო ალექსანდრია**

# შეხვედრა მწერალთან

საქართველოს პარლამენტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ეროვნულ, საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში, სახელოვნებო და სპორტულ კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები ქართველ კლასიკოს მწერალ გურამ დოჩანაშვილს შეხვდნენ, რომელმაც მოსწავლეების კითხვებს უპასუხა და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა.

ღონისძიება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზებით გაიმართა. მოსწავლეებს სიტყვით მიმართა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ და საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ღასან ხალილმა.

შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებს სამახსოვროდ გურამ დოჩანაშვილის წიგნები გადაეცათ და საშუალება მიეცათ, პარლამენტის პლენარული სხდომის მიმდინარეობას გაცნობოდნენ.



# «ნახატის ენა»

**საგამოფენო ცენტრ ექსპო-ჯორჯიას მეხუთე პავილიონში გაიხსნა ლიეტუველი და ქართველი ილუსტრატორების ერთობლივი გამოფენა სახელწოდებით „ნახატის ენა“.**

გამოფენაზე წარდგენილი იყო 32 ქართველი და ლიეტუველი ილუსტრატორის ნამუშევრები და ასევე საბავშვო წიგნები, სადაც გვხვდება ეს ნამუშევრები.

ერთი მხრივ, საერთო გამოფენა გამოხატავს ორი ქვეყნის ხელოვნებაში არსებულ ძირითად ტენდენციებს და აჩვენებს ქართველი და ლიეტუველი ილუსტრატორების სტილისა და მხატვრული იდიომების მრავალფეროვნებას. მეორე მხრივ კი, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ვგავართ ერთმანეთს, ვსაუბრობთ რა ნახატების უნივერსალურ ენაზე და ვყვებით ჩვენს ამბებს გამოსახულებებით. ამ ენას თარგმნა არ სჭირდება. ის ბავშვებსაც და ზრდასრულებსაც ერთნაირად მარტივად ესმით. გამოფენის ლიეტუვური სექცია წარმოგვიდგენს 15 ყველაზე ცნობილ მხატვარს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები საბავშვო წიგნების შექმნაში. წიგნების უმრავლესობას მიღებული აქვს ჯილდოები ლიეტუვაში, ბევრი მათგანი ნათარგმნია სხვა ენებზეც და გამოცემულია უცხოური გამომცემლების მიერ.

გამოფენაზე წარმოდგენილია 17 ქართველი ილუსტრატორის ნამუშევარი, რომლებიც შეირჩა გერმანელი კურატორის — Ulrike Nikel-ის მიერ და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით 2018 წელს გამოფენილი იყო ბერლინში ფესტივალ „Berlin Book Islands“ ფარგლებში, ხოლო შემდგომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით იყო მიწვეული. წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ბევრს აქვს მიღებული მონაწილეობა კონკურსებში და რამდენიმე წიგნი ასევე გამოცემულია სხვადასხვა ენაზე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის დახურვის შემდეგ გამოფენა იმოგზაურებს სამ ქალაქში: დუშეთში, თელავსა და ბათუმში. გამოფენასთან დაერთვება ვორქშოპები, რომლებსაც ქართველი და ლიეტუველი ილუსტრატორები ბავშვებისთვის გამართავენ.

**რევაზ თოფურია**



# შაორის განაშენიანების გეგმა დასრულებულია, ცნობილია პირველი ინვესტორის



**შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წლიდან მზადდებოდა, ახლა უკვე საკრებულოს დეპუტატების მხრიდან დამტკიცებას ელოდება. დამტკიცების შემდეგ გეგმა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნდება. ამბროლაურის მერიამ „კომერსანტს“ ის 125-გვერდიანი დოკუმენტი მიაწოდა, რომელიც მოიცავს ყველა იმ ინფრასტრუქტურულ თუ სხვა ობიექტებს, რომლებიც 4 წელიწადში შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება.**

შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის საპროექტო საზღვარში სულ განხილულია 995 ნაკვეთი, სადაც რეგისტრირებულია 805 ნაკვეთი. საპროექტო ტერიტორიის 6% ტყის ფონდის მიწებია, ხოლო 47% ნაკვეთებით დაფარული ფართობებია.

პროექტი მოიცავს საბაგირო გზის მშენებლობას – ტყიბულიდან შაორზე ამომავალი მაღალი გამტარიანობის (2500 კაც/სთ-ში) 6 კმ-იანი გონდოლებიანი საბაგირო გზა, რომელიც წარმოდგენილია სამი (ტყიბულის ქვედა, ნაქერალას შუალედური და შაორის ზედა) სადგურით.

გეგმის მიხედვით, წყალსაცავის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე, გზასა და სანაპიროს შორის მოწყობილია ე.წ. „მარინა“. შაორის წყალსაცავისათვის შესაფერისი (ბათიმეტრიული მოცემულობები) ტიპის ნავსადგომებით (900-მდე ნავი); აქვე მოწყობილია იახტ-კლუბი, ნავების გაქირავება, სპორტული სანაოსნო სკოლა და რესტორანი დამსვენებლებისათვის. „მარინას“ ჩრდილოეთ გაყოლებაზე განთავსებულია სპორტულ-სარეკრეაციო არეალი სპორტული მოედნებით. „მარინასა“ და სპორტულ ზონას შორის განლაგებულია ავტოპარკინგი (400-მდე მანქანაზე და 10 ავტობუსზე), წყალსაცავსა და გზას შორის, მდებარეობს აქტიური დასვენების ზონები, სადაც განათავსებულია სასტუმროები და საცხოვრებელი სახლები.

წყალსაცავის აღმოსავლეთით, სოფელ თლუღისა და სხარტალის მიმართულებებით, განთავსდება ფერმა-სახლებისა და რანჩოების ზონა.

შაორის გენგეგმაში სარეკრეაციო ზონის სახით გამოიყო ტერიტორია ღია ფესტივალების, საზაფხულო კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. ეს ადგილი მოშორებულია საცხოვრებელ ზონებს. შაორის წყალსაცავის ირგვლივ მოწყობილია ფეხით სასიარულო და ველობილიკი. რაც შეეხება აუცილებელი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას – ეს პროექტები განხილულ იქნა საჯარო-კერძო პარტნიორობის ჭრილში და სახელმწიფოს თანამონაწილეობა 20%-ით განისაზღვრა. შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის განვითარების პროექტის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ, სავარაუდოდ, განსახორციელებელი ინვესტიციების რაოდენობა პროექტის პირველ ეტაპზე 21,182,500 ლარს შეადგენს.

პროექტის მეორე ეტაპის განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ, სავარაუდოდ, განსახორციელებელი ინვესტიციების რაოდენობა დამატებით 86,580,000 ლარს, ხოლო ორივე ეტაპზე საერთო დანახარჯები 107,762,500 ლარს შეადგენს.

**„ინვესტორების მხრიდან დიდი ინტერესია შაორის მიმართ. მათი მხრიდან დიდი მოლოდინია, თუ როდის დამტკიცდება ოფიციალურად გეგმა, რომ განახორციელონ ინვესტიცვიები ამ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჩვენც ველოდებით გამოქვეყნებისთანავე აქტიურობას. ამ ეტაპზე ქართულ-ფრანგულმა კომპანიამ გამოთქვა სასტუმროს აშენების სურვილი.**

**მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს შაორის ტურისტულ კომპლექსს. ყველასთვის ცნობილია აქ გაშენებული უნიკალური კავკასიური სოჭის ტყის კორომები, იქვე შაორის მიმდებარედ არის ცნობილი ნიკორწმინდა და ულამაზესი ტაძარი, მახლობლად არის ძალიან საინტერესო მღვიმეები, ახლად აღმოჩენილი „მურადის“ ხეობა და ძალიან ბევრი საინტერესო ბუნებრივი თუ ისტორიული ძეგლები.**

**ვიზიტორების რაოდენობა, რომლებიც აკითხავენ ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრს, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. შაორის ტერიტორიაზე სტუმრები ძირითადად ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოდიან,“** – განაცხადა რაჭის გუბერნატორმა არჩილ ჯაფარიძემ „კომერსანტთან“ ინტერვიუში.

შაორის ტერიტორიაზე ღამის გათენება 2800 ადამიანს შეუძლია.

არსებული დაგეგმარების დოკუმენტის მიხედვით, ზამთრის პერიოდში, შაორის წყალსაცავსა და მის ირგვლივ ტერიტორიაზე შეიძლება ყინულის მოედნის მოწყობა, ყინულის ქვეშ თევზაობა, სკი-ტური, სარბენი თხილამური, მარხილით გასეირნება, თოვლში სასიარულო თხილამური-ჩოგანი და სხვა.

საქართველოში, და კონკრეტულად რაჭაში, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული სპორტული მიმართულებების გარდა, წინა პლანზე წამოწეულია სპელეოტურიზმი, როგორც ამ ადგილთან უპირობო და უპირატესი გარემოება, რომელიც უკავშირდება უნიკალური და სარეკორდო შესაძლებლობების მქონე ნაქერალა-შაორის კირქვულ მასივს, მასზე მიმდინარე კარსტულ პროცესებს და ცნობილ (მათ შორის ახლად აღმოჩენილ) მღვიმეებს. ტურისტულ-სარეკრეაციო ზონაში არსებობს სპელეო-სკოლა და სპეციალური ტურისტული ცენტრი.

**მარიამ მორგოშია**

# გზა თიანეთიდან ახმეტამდე ხუთჯერ შემოკლდა




**კახეთში წელს მიმდინარეობს და დაგეგმილია 132 მილიონი ლარის საგზაო ინფრასტრქუტურის მოწყობა. მათ შორისაა, თიანეთი-ახმეტის დამაკავშრებელი გზა, რომლის დასრულების შემდეგ 110 კმ-იანი მონაკვეთის გავლის ნაცვლად, ორი რეგიონის 28კმ-იანი გზით დავაკავშირება იქნება შესაძლებელი.**

ასევე, მიმდინარეობს გურჯაანის შემოვლითი ახალი 16კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა, 2020 წელს კი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო იწყებს ბაკურციხე-წნორის გზის მშენებლობას. წელს დასრულდება თბილისი-ბაკურციხის 4-ზოლიანი მაგისტრალური გზის პროექტირება, რომლის საორიენტაციო ღირებულება 1 მილიარდი ლარია, რაზეც უკვე სამინისტრო ინტენსიური მოლაპარაკების ფაზაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვილის თქმით, რეგიონში დაახლოებით 40 მლნ ლარის ღირებულების 117 კმ-ის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე უკვე გაფორმებულია კონტრაქტი და თითქმის ყველა სოფელში მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. მისივე თქმით, მხოლოდ წელს, დაახლოებით 2 მილიარდი ლარის ინვესტიცია ჩაიდება ქვეყნის ინფრასტრქუტურაში და აქედან დიდი ნაწილი საგზაო პროექტებს მოხმარდება.

**Gbc.ge**




# თემქის ხევის ადგილზე უნიკალური პარკი მოეწყობა

**თბილისის მერის მოადგილემ მაია ბითაძემ ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარ თამარ ტალიაშვილთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას თემქის ხევის კვლევის შედეგები წარუდგინა.**

თემქის ხევის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მიხედვით განისაზღვრა. გენგეგმის რეკომენდაციის გათვალისწინებით, თბილისის მერიამ ჩაატარა წინასაპროექტო კვლევა, რომელმაც 25 ჰექტარი მოიცვა. კვლევის შედეგებით, პარკის მოწყობის შესაძლებლობა 20 ჰექტარზე დადასტურდა. მაია ბითაძის თქმით, ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება მდინარის გახსნა.

**„ამ პარკში ვფიქრობთ, რომ განთავსდება და მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ მდინარე გაიხსნას. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა იმისთვის, რომ ზღვის უბანს მოვუწყოთ არაჩვეულებრივი ახალი საქალაქო პარკი, რომლის პრეცედენტი, ვფიქრობ, რომ საქართველოში არ ყოფილა. ეს იქნება ძალიან წარმატებული პროექტი. უახლოეს მომავალში დაიწყება უშუალოდ საპროექტო სამუშაოები და სამშენებლო სამუშაოებიც, ვფიქრობ, ძალიან წარმატებულად განხორციელდება“,** – განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ.

# თბილისში ოთხი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნება

**თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო 2019 წლის შემოდგომაზე ოთხი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის გახსნისთვის ემზადება. სააგენტოს ხელმძღვანელმა კახაბერ გვანცელაძემ ერთ-ერთი მშენებარე ბაღი სოფელ ფონიჭალაში კრწანისის რაიონის გამგებელ ლევან ჯაფარიძესთან ერთად დაათვალიერა.**

სოფელ ფონიჭალაში საბავშვო ბაღი აქამდე არ ფუნქციონირებდა. შემოდგომიდან კი ახალი ბაგა-ბაღი 250-ზე მეტი აღსაზრდელის მიღებას შეძლებს.

თბილისში მიმდინარე წელს ცხრა ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო, რომელთაგან ოთხი – გლდანის, ისნის, კრწანისისა და დიდუბის რაიონებში, მიმდინარე წლის დასრულებამდე შევა ექსპლუატაციაში.



ჩოგბურთი

# რევანში კორტზე



**ესპანეთში მიმდინარე 25-ათასიანი საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში სოფიო შაფათავასა და ბრიტანელი ემილი ვებლი — სმიტის წყვილმა იოლად — 6:1, 6:1 დააჩოქა კორტის მასპინძელ მარინა ბასოლს რიბერასა და რუს ეკატერინე იაშინას ტანდემი და სატიტულო ბრძოლას ელიზა კოსტოვასა (ბულგარეთი) და სამანტა მარეის (ბრიტანეთი) ინტერნაციონალურ დუეტთან გამართავს.**

ალსანიშნავია, რომ ჩვენმა თანამემამულემ რევანში აიღო 20 წლის პირენეელთან ერთეულთა თანრიგის შეხვედრაში განცდილი მარცხისთვის.

**კობა კობახიძე**

ფეხბურთი

# „წითლები“ თუ „მამლები“?

**დღეს 23 საათზე მადრიდის „ვანდა მეტროპოლიტანო“ ჩემპიონთა ლიგის (ყოფილი ჩემპიონთა თასის) 27-ე სეზონის ინგლისურ ფინალს უმასპინძლებს: „ლივერპული“ — „ტოტენჰემი“, რომელსაც სლოვენიელი მსაჯი დამირ სკომინა გაუძღვება.**

ეს ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ისტორიაში მეორე შემთხვევაა, როცა საპატიო ტიტულს ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები ერთმანეთში გაითამაშებენ.

ერთი შეხედვით, ალნიშნულ წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს: მერსისაიდელები პოპულარულ ევროთასებზე 21-ე(!) ფინალს თამაშობენ, არიან ამ ტურნირის 5-გზის გამარჯვებულები, ბოლო 14 ოფიციალური შეხვედრიდან 13(!) მოუგეს მეტოქეს, მათ შორის წლევანდელ პრემიერლიგაში — ორივე მატჩი, თანაც ორივე ერთნაირი ანგარიშით — 2:1, მაგრამ შეგახსენებთ, რომ „დეზებიანი მამლები“ წინა ეტაპებზე „მანჩესტერ სიტისთან“ და ამსტერდამის „აიაქსთანაც“ თითქმის ყველას განწირული ეგონა...




ამბიციური მწვრთნელების იურგენ კლოპისა და მაურისიო პოჩეტინოს ტაქტიკური დუელის გარდა, საინტერესოდ გვესახება საკადრო პოლიტიკის ნიუანსებიც. კერძოდ, თუ „წითლებს“ საზარდულის ტრავმის გამო მხოლოდ საყრდენი ნახევარმცველი ნაბი კეიტა დააკლდებათ, მეორე ბანაკში თავსატეხადაა ქცეული, რამდენად გარისკავს არგენტინელი თავკაცი ძირითად შემადგენლობაში ახალგამოჯანმრთელებული ბომბარდირი კაპიტნის ჰარი კეინისა და დაცვის ბურჯ დავინსონ სანჩესის დაყენებას, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მთლად ბოლომდე არც ამ უკანასკნელის შესაძლო მეწყვილე იან ვერტონგენია მზად ბრძოლაში ჩასაბმელად, მარცხენაფლანგელ ბენ დევისის თამაში კი საბოლოოდ გამოირიცხა.

მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ და დავტკბეთ ალბიონელთა პრინციპული ჯახით.

**გიორგი შოთაძე**

64

# საეტიუდო ხელოვნების რაინდი

**გია ნადარეიშვილი (1921-1990) — ქართული საეტიუდო სკოლის ფუძემდებელი, საერთაშროისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში (1960), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ეტიუდების შედგენაში (1973-74), საერთაშორისო დიდოსტატი (1980), პროფესიით ექიმი გახლდათ.**

გ:. ნადარეიშვილი
1965



1. ქce2+ მფf1 2. კb4 ლb6+
3. მფc8 ლ:b4 4. მg3+ მფg1
5. მge2+ მფh2 6. მფc7 (d7!)



იგი პირველი ქართული საეტიუდო კრებულის ავტორია (1952). მას მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ლეგენდარულ მიხეილ ბოტვინიკთან. სწორედ მისი მხარდაჭერით გამოსცა პოპულარული ნაშრომი „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“ (1982).

მისი ნაწარმოები გამოირჩევა ლამაზი და გაბედული მანევრებით, ეფექტური დაბოლოებით.

შენიშვნა: *ყაიმია, რადგან ლაზიერს არ ძალუძს ბლოკირებული მეფის დახმარებით საშამათო ქსელი შეუქმნას მოწინააღმდეგის გვირგვინოსანს.*

*ალსანიშნავია, რომ პირველი სამ სვლიანი ამოცანა ანდრია დადიანმა 1881 წელს საბერძნეთის დედოფალს ოლღას მიუძღვნა. ამ ამოცანით იწყება პირველი ქართული საკომპოზიციო ნაწარმოები!*

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

კალათბურთი

# აქეთ – „დელტა“, იქით – „ტორონტო“

**საქართველოს 29-ე ეროვნულმა საკალათბურთო ჩემპიონატმა ქვეყანას მე-10 გვირგვინოსანი შესძინა — ესაა სამი წლის წინათ შექმნილი „დელტა“, რომელმაც შარშან ძლივს შეინარჩუნა ადგილი რჩეულთა შორის, მიმდინარე სეზონი კი სუპერლიგაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა.**

ალსანიშნავია, რომ ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სატიტულო რაუნდი ისეთ გამობრძმედილ მეტოქეს მოუგო, როგორიცაა „ქუთაისი“, რომელიც ზედიზედ მეოთხედ (სულ — მეხუთედ)თამაშობდა ფინალში და ოლიმპს მხოლოდ ერთხელ უწია.

თბილისელთა მიღწევას ხიბლს ის ფაქტიც მატებს, რომ გადამწყვეტი სერიის ბოლო აკორდი მათ სტუმრად დაამთავრეს სასურველი შედეგით, სადაც მობილიზება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ყველას უჭირს.



სხვათა შორის, ამჯერადაც დადასტურდა აქსიომად ქცეული დაუწერელი კანონი — შეხვედრა იმის სასარგებლოდ სრულდება, ვინც მესამე პერიოდში იმძლავრებს. მართლაც, მართალია მასპინძლებმა სამი მეოთხედი მოიგეს, მაგრამ მესამე ათწუთიანი მონაკვეთის ჩაგდება საკმაოდ ძვირი დაუჯდათ.

ალსანიშნავია აგრეთვე დედაქალაქელთა სნაიპერების უპირატესობა პერიმეტრიდან ზუსტ ტყორცნებში — 12:5; კერძოდ, საბა ლობჟანიძემ 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო (სულ — 25 ქულა), ხოლო არტიომ შვეცმა — 6-დან 5 (სულ — 19 ქულა). ტრადიციისამებრ, დაცვაში საიმედოდ გაისარჯა ბექა ბექაური, რომელიც პარტნიორებს 11 ქულასთან და 3 შედეგიან გადაცემასთან ერთად 10 მოხსნითა და 2 დაფარებით შეეწია.

ამ ფონზე კოტე ტულუშის ლიდერი შეგირდების — აკაკი დვალიშვილისა (26 ქულა, 15 მოხსნა) და დავით ბარბაქაძის (17 ქულა) ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

**ჩემპიონთა გალერეა:** *„ვითა“ — 7, „დინამო“, „ბასკო“ — 5-5, „რუსთავი — 4, „არმია“, შსს აკადემია — 2-2, სტუ — ჯეოსელი — 1, „თბილავიამშენი“ — 1, „ქუთაისი“ — 1, „დელტა“ — 1.*

---

**სენსაციურად დაიწყო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) ფინალური რაუნდი, სადაც აღმოსავლეთის კანადურმა აღმოჩენამ „ტორონტო რეპტორზმა“ სერიის პირველი მატჩი შინ სიაკამის (37 ქულა) ძალისხმევით 118:109 მოუგო წყვილში ფავორიტად შერაცხულ უკანასკნელი სეზონების საუკეთესო გუნდ „გოლდენ სტეიტ უორიორზს“ და დაწინაურდა კიდეც — 1:0.**

შეგახსენებთ, რომ „ოქროს ბეჭდის“ მოსაპოვებლად მეტოქის ოთხჯერ დაჩოქებაა საჭირო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## სანთელი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ტყვიის მსროლელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი**



# გივი ბოსტოღანაშვილი

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# „ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“



*ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი*

ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

## მისტერ შერლოკ ჰოლმსის ხუმარსიტყვა

ქმარი სასმელს არ ეკარება, არც სხვა ქალი ჰყოლია, ცოლი კი იმიტომ უჩიოდა, ერთი ცუდი რამ ჩვეულება აქვსო, ჭამის მერე ხელოვნურ ყბას გამოიღებს ხოლმე და პირდაპირ მე მესვრისო, რაც, დამეთანხმებით, აზრადაც არ მოუვა საშუალო ნოველისტს.

* * *

– შენ კი, ყოჩაღო ბიჭო, რა გინდა?
– შილინგი, ბატონო.
– კიდევ?
– ორი შილინგი.

* * *

– არა, მისმინე, თუ კაცი ხარ. ჩვენთან ჩემი ძმა მობრძანდება, მაიკროფტი!
– მობრძანდეს, ვინ უშლის?
– ვინ უშლის? ეს იგივეა, ტრამვაი ლიანდაგს რომ გადავიდეს და სოფლის თემშარას გაუყვეს.

* * *

ვატსონ, თქვენს ხმაში სკეპტიკურ ბგეროვნობას ვიჭერ. ეგ ბგეროვნობა კი სულაც თქვენს ღირსებაზე არ მეტყველებს!

* * *

ვატსონ, ახლა კამფეტების დრო არ არის.

* * *

– მითხარით, შინ კატა თუ გყავთ?
– არა, ჩვენ მხოლოდ გეპარდი და პავიანი გვყვანან.
– გეპარდი კი ვნახეთ. პავიანი სადღაა?
– შინ სეირნობს.

* * *

ბატი დღევანდლამდე გვყავდა, ამ დილამდე, როცა აშკარა გახდა, რომ ყინვისდა მიუხედავად, დაუყოვნებლივ უნდა მიგვერთმია. პიტერსონმა გაიყვანა გარეთ და საწყალ ბატს ის დაემართა, რასაც ბედისწერა უქადდა.

* * *

თქვენ ნაფოტივით გახმით და ლიმონივით გაყვითლდით!

* * *

ეგ იგივეა, რომ ნიანგის თვალებს დააწვე და ძალით გაახსნევინო ყბები!

* * *

ის იურისტია. ო, რა ავბედითად ხმიანებს!

* * *

ლიტერატურულ გმირთა დიდ ენციკლოპედიაში შერლოკ ჰოლმსი მოხსენებულია, როგორც მკითხველის წარმოსახვაში სამუდამოდ დარჩენილი პერსონაჟი, რომელმაც უკვე XX საუკუნეში გადაინაცვლა სპექტაკლებსა და ფილმებში. მან თავის შემქმნელ კონან დოილზე ბევრად მეტი იცოცხლა და დღესაც განაგრძობს ცხოვრებას (1891-1927). მაღალი, გამხდარი, წოწოლა თავისქალიანი, გაჭიმული, ცოცხალსახიანი, უცვლელი სამგზავროკეპიანი, რომელსაც მევიოლინის გრძელი, მგრძნობიარე და ენერგიული ხელები აქვს. იმისი ყველაზე უფრო დიდი ნაკლია (თუკი ეს ნაკლად ჩაითვლება) თავის საქმეში სხვათა ჩახედების უსურვილობა. საიდუმლოებას მხოლოდ მაშინ ხდის ფარდას, როცა გამოძიების გადამწყვეტი მომენტი დგება. თავშეკავება იმისი მბრძანებლური ხასიათის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა. მაინცდამაინც არ უყვარს სხვათა ყურისგდება და შენიშვნები. არ შეუძლია თეატრალურ ეფექტთაგან თავის დაღწევა, რომელთა მიმართ უტყუარი ჟინით შეპყრობილია. იშვიათად თუ გამოავლენს სიხარულს, მაგრამ „ყოველთვის, როცა კი გაიცინებს, ვიღაცისთვის ეს სიცილი საბედისწეროა“. ამ პერსონაჟის სხვა თვისებათა შორის უნდა დავასახელოთ სრული აპათია, რაც მოულოდნელად უთმობს ადგილს განუშორებელ ჩიბუხს, ნარკოტიკიან შპრიცს და საშინაო ხალათს, რასაც ყოველთვის მაშინ იცვამს, როცა საჭიროა გულისყურის მოკრება და ჩაფიქრება. რაც შეეხება დანაშაულთა გამოძიების იმისეულ მეთოდებს, შეიძლება იმ დიალოგის მიხედვით წარმოდგენა, ერთხელ ვატსონსა და ჰოლმს შორის რომ გაიმართება: „ – არის კიდევ ისეთი, რამ მომენტები, ყურადღების მიქცევას რომ მირჩევდი? – ძაღლის უცნაური საქციელი დანაშაულის ღამეს. – ძაღლის საქციელი? რა საქციელი, არც კი დაუყეფავს... სწორედაც ეს არის უცნაური... ელემენტარული ამბავია, ძვირფასო ვატსონ, თქვენ ხომ იცით ჩემი მეთოდი...“ შერლოკ ჰოლმსის პიროვნება ისე დაწვრილებით არის აღწერილი კონან დოილის ნაწარმოების ფურცლებზე, რომ მწერლის თანამედროვე კრიტიკოსთა (როგორიც როლანდ ნოკსი იყო) საშუალება მიეცათ ჰოლმსის საგულისყურო გამოძიებათა მთელი ხუთი ტომი შეედგინათ, თითქოსდა ის რეალურად არსებული ადამიანია. როგორც ჩანს, ეს პერსონაჟი კონან დოილს ერთი ექიმის უჩვეულო პიროვნებამ შთააგონა.

* * *

ჰოლმსის თავგადასავალი არაერთი ფილმის სიუჟეტი გახდა. იმ მსახიობთა შორის, ვინც ეკრანზე შერლოკ ჰოლმსის როლი ითამაშა, შეიძლება, რომ დავასახელოთ ვასილ ლივანოვი, ჟორჟ ტრეკალი, ეკლ ნორვატი, ჯონ ბერიმორი, კლივ ბრუკი, ბეზილ რეტბოუნი, ვილიამ პაუელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №95, 97-108

# გორილები სიკვდილის ფენომენით ინტერესდებიან

**მეცნიერებმა შენიშნეს, რომ რუანდისა და კონგოს ტყეების ბინადარი გორილები დიდ ინტერესს იჩენენ სიკვდილის ფენომენისადმი.**

მკვლევარებმა აღწერეს სამი შემთხვევა, როცა ეს არსებები რამდენიმე წუთის გარდაცვლილი სხვა გორილას სხეულის გარშემო გროვდებიან და აკვირდებიან, ფრუტუნებენ, ლოკავენ, ეხებიან ან ბეწვს უწმენდენ.

პირველი ორი შემთხვევა აღწერს ვერცხლისფერზურგიან მთის გორილებს (Gorilla beringei beringei), რომლებიც თავიანთ ტომის მკვდარი ლიდერების გარშემო შეიკრიბნენ. მესამე შემთხვევა კი ეხება აღმოსავლეთის დაბლობის გორილებს (Gorilla b. graueri), რომლებიც აქტიურად იკვლევდნენ სხვა ქვესახეობის გორილათა ნეშტებს.

სამივე შემთხვევის შესახებ მკვლევართა მიერ გადაღებულ ფოტო და ვიდეომასალაზე ჩანს, როგორ სხედან გორილები წყნარად, მკვდარი სხეულიდან 10 მეტრის მოშორებით, ხანდახან კი უახლოვდებიან, ეხებიან და ყნოსავენ.



ავტორთა განცხადებით, მსგავსი ქცევა ახასიათებთ სპილოებსაც, რომლებიც ხშირად იკრიბებიან თავიანთ სახეობის წარმომადგენელთა მკვდარი სხეულების ირგვლივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიცოცხლეში მათ არასოდეს შეხვედრიან.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, გორილები თანაგრძნობასა და მწუხარებას გრძნობდნენ თავიანთ საყვარელ არსებათა სიკვდილის გამო, ისევე როგორც გამოხატავდნენ ცნობისმოყვარეობას სიკვდილის არსის მიმართ.

ავტორთა ცნობით, რუანდაში, ვულკანის ეროვნულ პარკში, როცა ასაკისგან მოკვდნენ ჯგუფის დომინანტი 35 წლის მამრი და 38 წლის მდედრი, ჯგუფის თითქმის ყველა წევრი მათი მკვდარი სხეულების სიახლოვეს შეიკრიბა.

ასევე აღსანიშნავია, რომ გვამებთან უფრო დიდხანს დარჩნენ ის გორილები, რომლებსაც მკვდრებთან უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

მაგალითად, მკვდარი გორილას ხვადი დედის უსიცოცხლო სხეულზე ხან წვებოდა, ხან ჯდებოდა, შესცქეროდა მის სახეს და მის თავს ხელით ფრთხილად ამოძრავებდა.

როგორც მკვლევარები წერენ, ეს გორილა მკვდარი დედის სხეულს ხელით ვარცხნიდა და ძუძუს მოწოვასაც კი ცდილობდა.

თუმცა, გორილები მკვდარ სხეულებს ყოველთვის ასე ნაზად როდი ეხებოდნენ. მამრი გორილები ხშირად ნეშტებზე ჯდებოდნენ, კბენდნენ მკერდზე და ღრიალებდნენ.

ერთ მომენტში, დომინანტი გორილას მკვდარ სხეულს მისმა ვაჟმა ფეხიც მიარტყა, სხვა, უცხო გორილას სხეული კი ფერდობზე დააგორა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საქციელი აგრესიად შეიძლება ჩავთვალოთ, მკვლევარები განმარტავენ, რომ ეს უბრალოდ იმ მარცხის ნიშანია, რომელიც გორილებმა მკვდარი თანამოძმეების უშედეგო გამოღვიძებისას განიცადეს.

აღმოსავლეთის დაბლობის გორილების შემთხვევაში, მთის გორილების მკვდარი სხეულებისადმი მათი მოქცევა საოცრად მშვიდობიანი იყო.

დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, ცხოველები ნეშტების გარშემო დადიოდნენ, უყურებდნენ სხვადასხვა კუთხიდან, ფრუტუნებდნენ, ლოკავდნენ და მუჯლუგუნს ჰკრავდნენ.

ცოტა უფრო დაძაბულები და ფრთხილები იყვნენ მდედრი ინდივიდები. მკვდარი სხეულის შესამოწმებლად ჯგუფიდან მხოლოდ ერთი მდედრი მივიდა. მკვლევართა აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ტომის არაწევრი, უცხო გორილები ხშირად კლავენ ახალშობილ გორილებს.

ამ კვლევამ მეცნიერებს უკეთესი წარმოდგენა შეუქმნა გორილების მიერ სიკვდილის პროცესის აღქმის შესახებ, არა მხოლოდ თავიანთ ოჯახის წევრების, არამედ სრულიად უცხო გორილების სიკვდილის შემთხვევაშიც კი.

აღნიშნული მაგალითები ახალ სარწმუნოობას სძენს იმ არაერთ კვლევას, რომელთა მიხედვითაც, ადამიანები დედამიწაზე ერთადერთი ცხოველები არ არიან, რომლებიც მწუხარებას განიცდიან.

*კვლევა PeerJ-the Journal of Life and Environmental Sciens-ში გამოქვეყნდა.*
*მომზადებულია gizmodo.com-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

**მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილმა**

# აეროპორტს რობოტები დაიცავენ

ტოკიოს ნარიტას საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორმა კომპანიამ რობოტი წარმოადგინა, რომელიც ტერმინალის შენობის დაცვას განახორციელებს. აეროპორტის ტერიტორიაზე რობოტების მიერ პატრულირების განხორციელება აეროპორტის უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაზრდის, რაც, თავის მხრივ, 2020 წელს დაგეგმილ ოლიმპიადასა და პარაოლიმპიადას უკავშირდება.




რობოტები აეროპორტში მუშაობას 3 ივნისიდან შეუდგებიან. 120 სმ სიგრძის რობოტი აღჭურვილია მრავალი კამერით და სენსორებით. რობოტს შეუძლია, თავიდან აიცილოს სხვადასხვა დაბრკოლებები და ტერმინალის პატრულირება განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ იაპონიის რკინიგზა, თანამშრომელთა სიმცირის გამო უსაფრთხოების დაცვისთვის რობოტებს უკვე იყენებს.

# ელექტროენერგია თოვლის ფიფქებისგან



**მეცნიერებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც ელექტროენერგიას არც მეტი, არც ნაკლები, თოვლის ფიფქებისგან გამოიმუშავებს.**

მოწყობილობა ტრიბოელექტრულ ეფექტს ეფუძნება, რომლის დროსაც ელექტრული მუხტი გამომუშავდება ორი ნივთიერების ერთმანეთთან კონტაქტის დროს. მოწყობილობის შემქმნელებმა გამოიყენეს ის ფაქტი, რომ თოვლის ფიფქები დადებითი ელექტრული მუხტის მატარებელია. ამის გამო ფიფქები გასცემენ ელექტრონებს და შესაბამისად, წარმოქმნიან შანსს, რომ ურთიერთქმედებაში შევიდნენ შესაფერის, უარყოფითად დამუხტულ სუბსტანციასთან.

**„თოვლი ისედაც დამუხტულია და ვიფიქრეთ, რატომ არ უნდა დავახვედროთ მას საწინააღმდეგო მუხტის მქონე სხვა მასალა, რათა ამ მუხტებისგან ელექტროენერგია მივიღოთ?“,** — განმარტავს კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსი მაერ ელ-კადი.

მართალია, თოვლი ამ მიზნით აქამდე არავის არასოდეს გამოუყენებია, მაგრამ მსგავსი რამ სხვა მეცნიერებმა სხვა ნივთიერებებით მოახერხეს. ჯგუფის მიერ შექმნილი მოწყობილობა თოვლზე დაფუძნებული ტრიბოელექტრული ნანოგენერატორია — მასალა, რომელიც დამოკიდებულია ტრიბოელექტრულ ეფექტსა და ელექტროსტატიკურ ინდუქციაზე და აგროვებს ენერგიას.

ბოლო წლებში მეცნიერებმა სხვა სახის ტრიბოელექტრული ნანოგენერატორებიც ააგეს, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ წვიმის წვეთებისგან, ფიზიკური მოძრაობისგან, მანქანის საბურავის ხახუნისგან და იატაკის ფიცრებზე სიარულისგანაც კი.

ყველა ამ მეთოდში, მათ შორის ახალ თოვლის ტრიბოელექტრულ ნანოგენერატორშიც პრინციპი იგივეა, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდები ოდნავ განსხვავდება და დამოკიდებულია მოძრაობისა და ნივთიერებების ტიპებზე.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსის რიჩარდ კანერის განცხადებით, სტატიკური ელექტროენერგია წარმოიქმნება იმ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებით, რომელთაგან ერთი იჭერს ელექტრონებს, მეორე კი გასცემს. შედეგად, საჭიროა მუხტების გამოცალკევება და ელექტროენერგია თითქმის არაფრისგან წარმოიქმნება.

თოვლის ტრიბოელექტრული ნანოგენერატორით, მას შემდეგ, რაც მოწყობილობა დააპროექტეს და ელექტროდები 3D პრინტერით დაბეჭდეს, ელექტროენერგიის გამომუშავების მაჩვენებელი სხვადასხვა ტრიბოელექტრული ნივთიერების შემთხვევაში გაზომეს. მიღებული მაჩვენებლები თანაბარი არ აღმოჩნდა. ელ-კადის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ თოვლი ელექტრონებს გასცემს, მოწყობილობის წარმადობა დამოკიდებულია იმ ნივთიერებათა ეფექტიანობაზე, რომლებმაც ეს ელექტრონები უნდა დაიჭირონ.

სხვადასხვა მასალის ტესტირების შემდეგ გაირკვა, რომ ყველაზე მეტ მუხტებს სილიკონი წარმოქმნის.

მოწყობილობაში ტრიბოელექტრულ შრედ სილიკონის გამოყენებისას, ელექტრული მუხტის გამომუშავება შეუძლია მრავალ სხვადასხვა საკონტაქტო მექანიზმს, მათ შორის თოვლის ფიფქების დაცემას პირდაპირ სილიკონის ფენაზე.

შემდეგ საფეხურზე ჯგუფმა გატესტა ველოსიპედის საბურავსა და ზამთრის ჩექმების ძირებზე მოთავსებული სილიკონის ფენის კონტაქტი თოვლთან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპერიმენტთა დროს წარმოქმნილი ელექტროენერგიის ოდენობა დიდი არ იყო, მკვლევართა თქმით, სამომავლოდ უფრო ადვილი იქნება თოვლის ტრიბოელექტრული ნანოგენერატორების მოთავსება მზის პანელებზე. შედეგად, პანელები ელექტროენერგიას თოვლიან ამინდშიც გამოიმუშავებენ, როცა ამ პანელების ეფექტიანობა მინიმუმამდეა შემცირებული ან საერთოდ არ მუშაობს.

გამომდინარე იქიდან, რომ თოვლი ყოველწლიურად დედამიწის ზედაპირის 46 მლნ კვადრატულ კილომეტრ ფართობზე მოდის, ეს შესაძლებლობა უზარმაზარია ამ ტექნოლოგიის მასშტაბების ზრდისთვის.

მკვლევართა განცხადებით, თოვლის ტრიბოელექტრული ნანოგენერატორები უახლოეს მომავალში ბინას ჯერ ალბათ თოვლიან რეგიონებში განთავსებულ ამინდის შორეულ სადგურებზე დაიდებს.

***კვლევა ჟურნალ Nano Energy-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ucla.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.***



# კატებმა ძალიან კარგად იციან თავიანთი სახელები, მაგრამ, უბრალოდ, არ იმჩნევენ

**კატებს უკარებას რეპუტაცია აქვთ. იაპონელ მეცნიერთა ახალი კვლევის მიხედვით, მათი ასეთი რეპუტაცია კიდევ უფრო ძლიერდება. როგორც ირკვევა, კატები ადამიანებს მუდმივად გვაიგნორებენ.**

მიუხედავად იმისა, რომ ძაღლის პატრონებს ძალიან ცოტა ძალისხმევა სჭირდებათ თავიანთ ოთხფეხა მეგობრების ყურადღების მისაქცევად, კატების შემთხვევაში სიტუაცია სრულიად სხვაგვარადაა. ძაღლები შეიძლება გავწვრთნათ ისე, რომ ჩვენ მიერ წარმოთქმული მრავალი სიტყვა გაიგონ, მაგრამ კატები ხანდახან ჩვენს არსებობასაც კი არ იმჩნევენ.

საინტერესოა, სად არის ჩვენი შესაძლებლობათა ზღვარი შინაურ კატებთან ვოკალური კომუნიკაციისთვის? ჩატარდა მრავალი კვლევა, რომელიც ძაღლების მიერ ადამიანთან ვოკალური კომუნიკაციის გზებს მიეძღვნა, მაგრამ რაც შეეხება კატებს, თუ როგორ იგებენ ისინი ადამიანთა მეტყველებას — ეს სფერო შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. იმის გასარკვევად, ანსხვავებენ თუ არა კატები ადამიანთა მიერ წარმოთქმულ მათ სახელებსა და სხვა სიტყვებს, ტოკიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა ექსპერიმენტთა სერია ჩაატარეს, რომელშიც 78 კატა მონაწილეობდა.

**კატები წარმოდგენილი იყვნენ როგორც სახლებიდან, ისე თავშესაფრებიდან. მეცნიერებს სურდათ, შეემოწმებინათ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, კატები შესაძლოა, სხვა სიტყვებს შორის კარგად არჩევენ თავიანთ სახელებს. როგორც ავტორები წერენ, ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ისინი სერიულად წარმოთქვამდნენ ოთხ სხვადასხვა სიტყვას, შემდეგ კი კატის სახელს.**

**მეცნიერთა განცხადებით, თუ კატები მიეჩვეოდნენ ოთხ სხვა სიტყვას და მათში საკუთარ სახელს განასხვავებდნენ, ექნებოდათ გარკვეული რეაქცია, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ისინი ძალიან კარგად სცნობენ თავიანთ სახელს.**

ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარებმა კატებს ჩაურთეს ჩანაწერები, რომლებშიც მათ სახელს იძახდნენ, მაგრამ მანამდე ისმოდა სხვა სიტყვები ან სხვა კატების სახელები.

პროცესს ვიდეოზე იღებდნენ, რომელიც შემდეგ დეტალურად გააანალიზეს, რათა გაერკვიათ, იყო თუ არა დახვეწილი განსხვავებები კატების პასუხებში — ყურების მოძრაობა, თავის მოძრაობა, ხმები, კუდის მოძრაობა ან გადაადგილება.

**მკვლევარებმა ასევე შეამოწმეს, სცნობს თუ არა კატა კონკრეტული ადამიანის საუბარს, რისთვისაც პატრონებისა და თავად მკვლევართა ხმის ჩანაწერს ურთავდნენ.**

**კატების საპასუხო ქცევებზე დაყრდნობით მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ უმეტეს შემთხვევებში კატები კარგად ანსხვავებდნენ თავიანთ სახელებს სხვა სიტყვებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს; თანაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ეძახდა კატას — პატრონი თუ უცხო ადამიანი.**

თუმცა, აშკარა გამონაკლისები იყვნენ თავშესაფრის ბინადარი კატები — მათ მიერ სახელების შეცნობა იყო ძალიან ცუდი. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, მათი საცხოვრებელი გარემოა, სადაც მათ ყოველდღიურად უამრავი ადამიანის ხმა და მრავალი სხვადასხვა სიტყვა ესმით. ეს კი ართულებს სხვა კატების სახელებს შორის თავიანთი სახელის გამორჩევას.

**მკვლევართა თქმით, შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ კატების შეუძლიათ ადამიანთა მიერ წარმოთქმული სიტყვების გარჩევა ფონეტიკურ განსხვავებებზე დაყრდნობით. როგორც ჩანს, კატებმა ძალიან კარგად იციან, როცა ვეძახით, მაგრამ ურჩევნიათ, უბრალოდ, არც შეიმჩნიონ.**

კვლევის ავტორთა განცხადებით, ამის მიზეზი ის არის, რომ ევოლუციისას კატებს ადამიანთა რეპლიკებზე შეპასუხება არ ჩამოუყალიბდათ და ადამიანებთან კომუნიკაციას ისინი მაშინ ამყარებენ, როცა თავად სურთ.

***კვლევა ჟურნალ Scientific Report-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.***

# ბანანის კულტურა საფრთხეშია

**კლიმატის ცვლილება ზრდის იმ სოკოვანი დაავადების რისკს, რომელიც ბანანის კულტურას ანადგურებს. ამის შესახებ ახალი კვლევა იუწყება.**

დაავადებას შავი სიგატოკა ჰქვია და მსოფლიოში მე-20 საუკუნის ბოლოს აზიიდან გავრცელდა, ბოლო წლებში ის შეიჭრა ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის იმ ზონებშიც, სადაც ბანანი მოჰყავთ.

ახალი კვლევის მიხედვით, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ექსტერის უნივერსიტეტმა ჩაატარა, ტენიანობისა და ტემპერატურის ზრდა ამ ზონებში შავი სიგატოკას რისკებს 44 პროცენტით ზრდის.



დაავადების გავრცელებას ხელი ასევე შეუწყო ბანანის წარმოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ. საბოლოო შედეგი კი შესაძლოა, ბანანის წარმოების 80 პროცენტით შემცირება იყოს.

დაავადება შავი სიგატოკას გამომწვევი მიზეზია სოკო სახელად Pseudocercospora fijiensis, რომლის სიცოცხლის ციკლიც ძლიერ არის დამოკიდებული ამინდსა და მიკროკლიმატზე.

ექსეტერის უნივერსიტეტის მკვლევარის დენიელ ბებერის განცხადებით, მათმა კვლევამ აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილებამ ტემპერატურა უკეთესი გახადა სპორების აღმოცენებისა და ზრდისთვის. ეს კი ძალიან ზრდის ლათინური ამერიკის ბანანის ზონებში ამ ინფექციის ფართოდ გავრცელების რისკს.

ბებერის თქმით, მართალია, მათ მიერ შესწავლილ რეგიონებში შავი სიგატოკას ზოგადი ზრდის რისკები მაღალია, მაგრამ მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ზოგიერთ რეგიონში კლიმატის გაშრობამ ინფექციის რისკი შეამცირა.

კვლევის ფარგლებში მოხდა გასული 60 წლის განმავლობაში კლიმატისა და შავი სიგატოკას შესახებ შეგროვებულ მონაცემთა კომბინირება. შავი სიგატოკა მომაკვდინებელია ბანანის მრავალი სახეობისათვის. ამერიკაში ის პირველად ჰონდურასში გამოჩნდა, 1972 წელს.

სოკო თანდათან მთელ რეგიონში გავრცელდა და 1998 წლისთვის მიაღწია ბრაზილიას, 2000-იან წლებში კი კარიბის ზღვის კუნძულ მარტინიკას, სენტ-ლუსიას, სენტ-ვინსენტი და გრენადინებს. დაავადება უკვე ჩრდილოეთით, ფლორიდამდეც გავრცელდა.

როგორც ბებერი აღნიშნავს, სოკო ჰონდურასში აზიიდან კვლევებისთვის შეტანილი მცენარეების საშუალებით მოხვდა, მაგრამ მოდელები მიუთითებს, რომ გასული 60 წლის განმავლობაში კლიმატის ცვლილებამ მისგან მომავალი საფრთხეები გაცილებით გაზარდა.

სოკო Pseudocercospora fijiensis-ი ჰაერში სპორების საშუალებით ვრცელდება, აზიანებს ბანანის ფოთლებს, იწვევს მათ აჭრელებასა და უჯრედების სიკვდილს, რადგან სოკოვანი შხამები სინათლეზე აქტიურდება.

***მომზადებულია exeter.ac.uk-ის მიხედვით.***

## სულთათანა

ნოდარ ემუხვარი ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი, სტუდენტთა საყვარელი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, მრავალი წიგნისა და საინტერესო პუბლიცისტური წერილის ავტორი, უკეთილშობილესი პიროვნება, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**თეიმურაზ პეტრიაშვილი**

და თანაუგრძნობს მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.



ვაჟა ქურდიანი, ნათელა ყურაშვილი, შალვა, კახაბერ ქურდიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ჩვენი დედაქალაქისა და რაჭის უსაყვარლესი მოჭირნახულის, დიდებული მამულიშვილის, კოლორიტი პიროვნების, ჭეშმარიტი ერუდიტისა და მეცნიერის, პროფესორ

**თემურ პეტრიაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, რაჭველებს და სანათესავოს.

## ჟურნალი „ოლე“ 15 წლისაა!

**ამ დღეებში თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ორგანიზებით, ჟურნალ „ოლეს“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.**

ღონისძიება მიჰყავდა თელავის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს **ფიქრია ყუშიტაშვილს**.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს: მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ **ფარნა რაინამ**, ჟურნალ „ოლეს“ მთავარმა რედაქტორმა **აკაკი დაუშვილმა**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **არჩილ თხლაშიძემ**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **თემურ ჩალაბაშვილმა**, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ **ბაღათერ არაბულმა**, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა **ზაალ ბოტკოველმა**; პროფესორებმა: **როინ ჭიკაძემ, მაყვალა მიქელაძემ, ნანა რჩეულიშვილმა, რამაზ მეფარიშვილმა, ნელი ცქიტიშვილმა;** ასევე: **მანანა გოგიშვილმა** და **რომეო ფირცხელანმა**.



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **არჩილ თხლაშიძემ** ჟურნალ „ოლეს“ სარედაქციო საბჭოს თელავის მუნიციპალიტეტის სახელით სიმბოლური საჩუქრები გადასცა და ჟურნალ „ოლეს“ თანადგომა აღუთქვა.

**ფიქრია ყუშიტაშვილმა** ახმეტისა და თელავის მაჟორიტარის **გელა სამხარაულის** სახელით საჩუქრები გადასცა ჟურნალ „ოლეს“ კოლექტივსა და ფარნა რაინას.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარემ **ფარნა რაინამ** მწერლებს ჟურნალ „ოლეს“ 2018 წლის პრემიები გადასცა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **თემურ ჩალაბაშვილმა** ჟურნალ „ოლეს“ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს **ირაკლი ქადაგიშვილს**, თელავის მუნიციპალიტეტის მერს **შოთა ნარეკლიშვილს**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს **არჩილ თხლაშიძეს**, შპს „სერპანტინის“ დირექტორს **ზურაბ ფეიქრიშვილს** და მათ „ქართული მწერლობის ქომაგის“ წოდებები მიანიჭა.

**თემურ ჩალაბაშვილმა** ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის ჟურნალ „ოლეს“ მთავარ რედაქტორს **აკაკი დაუშვილს** მიანიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია, რედაქტორს **ფარნა რაინას** ქართული კულტურის დესპანის წოდება და ასევე რედაქტორს **ნუნუ ძამუკაშვილს** ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.

15 წლის მანძილზე ჟურნალ „ოლეს“ რედაქციამ მრავალ სირთულეს წარმატებით გაართვა თავი. ჟურნალმა ორჯერ გაიმარჯვა კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსები: ფრიდონ ხალვაში და ოტია იოსელიანი; არაერთი სახელოვანი ქართველი მწერალი. დაისტამბა ჭაბუა ამირეჯიბის გამოუქვეყნებელი წერილი.

ჟურნალს თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის დამეგობრების საქმეში. „ოლეს“ ამა წლის მესამე ნომერი მთლიანად დაეთმობა მესხეთში მოღვაწე მწერლებს, ხოლო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდება თელავში მოღვაწე მწერლების ნაწარმოებები. მსგავსი გაცვლითი ნომრები განვლილ წლებში „ოლეს“ ჰქონდა აჭარასთან და ქუთაისთან.

ჟურნალი „ოლე“ უკანასკნელი ხუთი წელია, პერიოდულობის დაცვით გამოდის (სამ თვეში ერთხელ), რაც „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ხელისუფლების დამსახურებაა.

### ◉ ნაცნაძირალების გალერეა

## ძებნილ გიორგი სამუშიას ციხე ელოდება!

**ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უკრაინის კომპეტენტური ორგანოების მიერ დაკავებულია საქართველოში ძებნილი გიორგი სამუშია.**

სამუშიას ბრალი ედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ელბერდ კობერიძის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში. ელბერდ კობერიძის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით ამავე საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი არიან დავით ახალაია, გიორგი კალანდაძე, მეგის ქარდავა და რომან შამათავა.



2012 წლის 28 ივლისს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომელმა გიორგი სამუშიამ, სხვა პირებთან ერთად, იმჟამინდელი მაღალი თანამდებობის პირების, დავით ახალაიას, გიორგი კალანდაძის,მეგის ქარდავას და რომან შამათავას დავალებით,ზუგდიდში უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება ელბერდ კობერიძეს, ხელბორკილებით და სახეზე ნიღაბჩამოცმული გადაიყვანა თბილისში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ზემოხსენებული ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ ერთობლივი განზრახვით დაგეგმილი იყო წამების გზით კობერიძისგან ტერორისტული აქტის მომზადების აღიარებითი ჩვენების მიღება.

ამ მოთხოვნით, დავით ახალაიამ, გიორგი კალანდაძემ, მეგის ქარდავამ და რომან შამათავამ, სამხედრო პოლიციის შენობაში რამდენიმე საათის განმავლობაში აწამეს და ცემეს ელბერდ კობერიძე. წამების დროს არაერთხელ დაასხურეს წიწაკის მხუთავი აირი და გაგუდვის ინსცენირების მიზნით თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი. ელბერდ კობერიძე იმდენად სასტიკად აწამეს, რომ მან გონება დაკარგა და უმწეო მდგომარეობაში, სასტიკად ნაწამები იმყოფებოდა 10 დღის განმავლობაში. მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში მომუშავე რიგითი თანამშრომლების თხოვნით, რის შემდეგაც ელბერდ კობერიძე გადაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

ამ ქმედებისთვის გიორგი სამუშიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2015 წლის 11 დეკემბერს და მას აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა, თუმცა საპატიმრო 9-თვიანი ვადის ამოწურვამდე სამუშიას სასამართლომ შეუცვალა აღკვეთის ღონისძიება, შეუფარდა გირაო და დამატებითი ღონისძიების სახედ განესაზღვრა პასპორტის ჩამორთმევა. სამუშიამ მოტყუებით, თითქოსდა დაკარგა პასპორტი, საჯარო რეესტრში მოითხოვა ახალი პასპორტის დამზადება, რომლის გამოყენებითაც დატოვა საქართველოს ტერიტორია, რის გამოც მის მიმართ გამოცხადდა საერთაშორისო ძებნა. სამუშიასთან ერთად, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის და წამების საქმეზე ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალდების საქმე წარმართულია სასამართლოში და მიმდინარეობს არსებითი განხილვა.

საქართველოსა და უკრაინას შორის არსებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში მიმართავს უკრაინის გენერალურ პროკურატურას გიორგი სამუშიას საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე.

## „ანბანის გაცილება“ წითელი ყელსახვევებით

ახალციხის მე-5 საჯარო სკოლაში პირველკლასელებს ღონისძიებაზე წითელი ყელსახვევები ეკეთათ. ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, კლასის დამრიგებელი ლუიზა მღებრიშვილი ამბობს, რომ ბავშვები საქართველოს დროშის ფერებში გამოაწყვეს და ამ ღონისძიებას, გარდა „ანბანის გაცილებისა“, სხვა დატვირთვა არ ჰქონდა.

**„აზრადაც არ მოგვსვლია, ბავშვები პიონერებივით გამოგვეწყო და საბჭოთა დროინდელი დეტალი გამოგვეყენებინა. ღონისძიება 26 მაისსაც მივუძღვენით და ჩავაცვით საქართველოს დროშის ფერებში. აბა, პეპლები და „ფართუკები“ ხომ არ მოუხდებოდათ? ბუშტებიც თეთრ და წითელ ფერებში გვქონდა და ლექსებსაც სულ სამშობლოზე ამბობდნენ“, განმარტავს დამრიგებელი. იმავეს აცხადებენ პირველკლასელების მშობლებიც. „ყელსახვევები იმიტომ ავირჩიეთ, რომ არ აქვს ყველას საშუალება, რომ შეიკერონ პიჯაკები. თეთრი მაისურები ყველას ჰქონდა, წითელი ფარდა კი მაღაზიაში ვიყიდეთ. ჩვენ, მშობლები, ის თაობა ვართ, რომ საერთოდ არ ვიცით, ვინ იყვნენ პიონერები“, — ამბობს მშობელი ხათუნა გელაშვილი.**

**მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორი ინგა ვარდიძე ამბობს, რომ ამ თემით აჟელირება სისულელეა: „რა პიონერი?! რატომ უნდა გახსენებოდათ პიონერები?! ფორმებს რაც შეეხება, დროშის ფერებში იყვნენ გამოწყობილები. 26 მაისთან დაკავშირებით ღონისძება ჩაატარეს. როგორ კაშნეს და ბენდენას მოიხვევდნენ, ნამდვილად არ ვიცოდი, თუმცა თეთრი, შავი და წითელი რომ უნდა სცმოდათ, ეს ვიცოდი“, —** ამბობს ვარდიძე.





# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი №1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება. გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მანანაურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სკილირის ლოდნარის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (ზედაპირული აკრეფვა) ჯამური მოცულობა - 2 706 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მანანაურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 659 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 65.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 530 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 3 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ობიექტის დამუშავება განახორციელოს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და |

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია, „ოკამის“ ვულკანური წიდის საბადოს (კატეგორია - A+B+$C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 153 100 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 31 634 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3163.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 16 017 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 3 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №3** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ე) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ |

| | | |
|---|---|---|
| | | ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოთას მიმდებარე ტერიტორია, „ოთას“ ბაზალტის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 19 660 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოთას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 190 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 419 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 295 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 3 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს, პოტენციური მტვარი ჰესების კასკადის ტერიტორიაზე ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებსა და მშენებლობაში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები აწარმოოს |

| | | |
|---|---|---|
| | | შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ წარადგინოს შესაბამისი დარგის ექსპერტის (ჰიდროლოგის) დასკვნა, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ მდინარის კალაპოტში ინერტული მასალის მოპოვება არ შექმნის წინაპირობას აღნიშნული განშტოების სიახლოვეს განვითარდეს მდინარის როგორც სიღრითი, ასევე გვერდითი (ნაპირების) ეროზიული პროცესები, რითაც საფრთხე შეექმნება გაზსადენის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთან, ქვიშა-ხრეშის მოპოვებითმა სამუშაოებმა არ უნდა შეზღუდოს ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული გაზსადენის ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა და არ უნდა გამოიწვიოს მისი დაზიანება. იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებითი სამუშაოები საფრთხეს შეუქმნის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს გაზსადენს, ლიცენზიანტმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>მ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ნ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ო) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ჟ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაჯალარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 40 400 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაჯალარის მიმდებარე |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 30 747 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3074.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 275 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 3 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 1 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №5**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ნაგვაზაოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. აბაშის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი |

| | | |
|---|---|---|
| | | წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 15 015 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ნაგვაზაოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 205 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1220.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 421 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 3 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 ივლისს დღის 18:00 საათზე |
